

MAGAZINE FOR PEOPLE, WHO DRIVE & LEAD

# TM Autograph

თმ-ავტოგრაფი

#4 | ISSUE | SPRING • 2014

## TOYOTA CENTER TEGETA
The new authorized TOYOTA SERVICE CENTER in Tbilisi

A box placed in TBILISI MALL for 16 days and an Indonesian Tiger –
## PORSCHE MACAN

## TEGETA ACADEMY
The new standards in the field of automobile service

NOT FOR SALE

ISSN 2298-0792




☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors


on summer tires
Hankook
GT RADIAL
starmaxx®
HERCULES TIRES
PRIMACY 3
ventus
ventus R-S3
თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
It`s Time To Choose Quality...



☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge
www.fb.com/tegetamotors

# NO OTHER MOTOR OIL CAN KEEP ENGINES CLOSER TO FACTORY CLEAN*

We know that engines are in the best condition the day they come off the production line and that's why we designed Shell Helix Ultra, the oil of choice for Ferrari. Made with a unique combination of Shell PurePlus Technology and Active Cleansing Technology it delivers even higher levels of cleansing and protection, meaning that no other motor oil keeps your engine closer to factory clean.*




Shell HELIX ULTRA Motor oils

WITH Shell PUREPLUS TECHNOLOGY

*Based on sequence VG sludge test results using 0W-40

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...

TM Autograph
თმ ავტოგრაფი

პროექტის ხელმძღვანელი/HEAD OF THE PROJECT
დიანა ველენგურსკაია/Diana Velengurskaia

გამომცემელი/PUBLISHER
ანუკი ნაცვლიშვილი/Anuki Natsvlishvili

არტ დირექტორი/ART DIRECTOR
სერგო კულიჯანოვი/Sergo Kulijanov

ლიტერატურული რედაქტორი/LITERARY EDITOR
ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlishvili

დიზაინერები/DESIGNERS
დავით სამსონიძე/David Samsonidze
სერგო ტიტენკოვი/Sergo Titenkov

ფოტოგრაფი/PHOTOGRAPHER
ზურა ქართველიშვილი/Zura Kartvelishvili

ჟურნალისტები/JOURNALISTS
თაკო ფოლადაშვილი/Tako Poladashvili
ნინო ლომიძე/Nino Lomidze
ნიკა გომართელი/Nika Gomarteli
ბექა მაისურაძე/Beka Maisuradze
ნიკა უხურგუნაშვილი/Nika Ukhurgunashvili
დავით ფარულავა/David Parulava

მთარგმნელი/TRANSLATOR
ელენე გრძელიძე/Elene Grdzelidze

რედაქცია: საქართველო, თბილისი, 0102, დ. უზნაძის ქ. 11, საფოსტო ინდექსი 0108; ტელ.: +995 322 946 446; მარკეტინგის სამსახური info@ego.com.ge გამოცემის თარიღი: 20.05.2014. გამომცემლობა „ფლიტ მედია“ – საქართველო, თბილისი, დ. უზნაძის ქ. 11, ელ.ფოსტა: flitmail@flit.ge. პერიოდული გამოცემა, გამოდის 2013 წლის ივნისის თვიდან.

Editorial office: 11, D. Uznadze str., 0102, Tbilisi, Georgia
Tel.: +995 322 946 446, Fax: +995 322 922 898
Marketing department: info@ego.com.ge
Date of edition: 20.05.2014
Publishing house FLIT MEDIA.



პოლიგრაფიული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ტელეფონის ან ელ.ფოსტის საშუალებით და 5 დღის განმავლობაში მიიღებთ ახალ ეგზემპლარს. კატეგორიულად იკრძალება „თმ ავტოგრაფში“ გამოყენებული ტექსტური და ფოტო მასალის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება რედაქციის წერილობითი თანხმობის გარეშე. გამომცემლობა პასუხისმგებლობას იხსნის რეკლამაში განთავსებულ შინაარსზე.

In case of any polygraphic defects please address to our office or contact us by e-mail and new copy will be delivered within 5 days. Full or partial usage of texts or photo materials from TM AUTOGRAPH is forbidden without written confirmation of the editorial office. Publishing house is not responsible for the content of advertised material.



გამოცემაში გამოყენებულია ბესარიონ გუგუშვილის BPG DejaVu Sans Light ExtraLight და FLIT Group-ს Flt Os Test3 ფონტები

დაბეჭდილია სტამბა „დიოსში" DIOS PRINTING HOUSE

თეგეტა მოტორსი TEGETA MOTORS HOLDING COMPANY
დროა აირჩიო ხარისხი

Flit Media publishing house


# CONTENT


8 A box placed in Tbilisi Mall for 16 days and an Indonesian Tiger – Porsche Macan
16 დღის განმავლობაში თბილისი მოლში განთავსებული ყუთი და ინდონეზიური ვეფხვი – Porsche Macan

20 Toyota Center Tegeta – the new authorized Toyota service center in Tbilisi
ტიოტა ცენტრი თეგეტა – Toyota-ს ახალი ავტორიზებული სერვისცენტრი თბილისში

24 Famous Racers
ცნობილი მრბოლელები

30 Tegeta Motors creates and sets new standards in the field of automobile service
თეგეტა მოტორსი ქმნის და ამკვიდრებს ახალ სტანდარტს ქართულ საავტომობილო სფეროში

38 March 8 – an event that has turned into a tradition at Tegeta Motors and many gifts for the ladies
8 მარტი – ტრადიციად ქცეული ღონისძიება თეგეტა მოტორსში და უამრავი საჩუქარი ქალბატონებს

46 Tegeta Motors gifted a Mazda to the best trading partner of 2013!
2013 წლის საუკეთესო სავაჭრო პარტნიორს თეგეტა მოტორსმა საჩუქრად ავტომობილი მაზდა გადასცა!

50 Advice for summer
რჩევები ზაფხულისთვის

54 World's Dangerous Roads
მსოფლიოს სახიფათო გზები

64 Happy travels...
ბედნიერი მგზავრობა...

74 Necessary items for camping
ლაშქრობისათვის საჭირო ნივთები

78 9 largest classic automobile auctions
კლასიკური ავტომობილების 9 ყველაზე მსხვილი აუქციონი

88 Collectible automobiles
საკოლექციო ავტომობილები

94 Automobiles in Hollywood
ავტომობილები ჰოლივუდში

102 Flying automobiles from childhood
მფრინავი ავტომობილები ბავშვობიდან

106 Automobiles 2014
ავტომობილები 2014



78


64




50





54



8




30





24



38



106



94



88



Doing what you love is essential to success! It is the professional approach towards work and love that define Tegeta Motors' success on the market. The business group directed its 18 years of experience towards creating a safe future and created an automobile maintenance culture in Georgia through a kind and warm attitude with its customers.

The arrival of spring is associated with life, energy and a healthy lifestyle for everyone. We get a greater urge to drive long distances and plan picnics and sunny weekends – all of this is directly linked to proper automobile functioning.

**აკეთო საქმე,** რომელიც გიყვარს - ეს უმთავრესია წარმატებისთვის! სწორედ საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა და სიყვარული განაპირობებს „თეგეტა მოტორსის" წარმატებას ბაზარზე. 18-წლიანი გამოცდილება ბიზნესჯგუფმა უსაფრთხო მომავლისაკენ მიმართა და მომხარებელთან თავაზიანი, გულთბილი დამოკიდებულებით შექმნა ავტომობილის მოვლის კულტურა საქართველოში.

გაზაფხულის დადგომა ყველასთვის დაკავშირებულია სიცოცხლესთან, ენერგიასთან, ჯანსაღი ცხოვრების წესთან... უფრო მეტად გვიჩნდება შორ მანძილზე გადაადგილების, პიკნიკებისა და მზიანი უქმეების დაგეგმვის სურვილი, ეს ყველაფერი კი პირდაპირ კავშირშია საკუთარი ავტომობილის გამართულად მუშაობასთან.




The spring issue of TM Autograph is dedicated to spring and subject related to it. From the pages of the magazine you will learn about the proper automobile maintenance in spring, things to keep in mind when traveling long distances, ways of selecting camping items... you will also come across many interesting facts about the best and the most prestigious automobiles of 2014.

Automobile maintenance is a pleasure for those who love their cars. Love what you do and love the automobile you drive!

Temur Kokhodze
President
of Tegeta Motors

TM Autograph-ის ახალი გამოცემაც სწორედ გაზაფხულს და მასთან დაკავშირებულ თემებს მიეძღვნა. ჟურნალის ფურცლებიდან თქვენ შეიტყობთ: თუ როგორ უნდა მოუაროთ ავტომობილს გაზაფხულზე, რა უნდა გაითვალისწინოთ შორ მანძილზე მგზავრობის დროს, როგორ შევარჩიოთ ნივთები ლაშქრობისთვის... გაეცნობით, სხვა საინტერესო თემებს 2014 წლის საუკეთესო და ყველაზე პრესტიჟულ ავტომობილებზე.

ავტომობილის მოვლა სიამოვნებას ანიჭებს მათ, ვისაც უყვარს საკუთარი ავტომობილი. გიყვარდეთ საქმე, რომელსაც აკეთებთ და გიყვარდეთ ავტომობილი, რომელსაც მართავთ!

თემურ კოხოძე
„თეგეტა მოტორსის"
პრეზიდენტი





# გიყვარს შენი ავტომობილი?

შეინახე ისტორია თეგეტა მოტორსში

## ჩემი ავტომობილის ისტორია

- გაწეული ხარჯების ანალიზი
- აუცილებელი რეკომენდაციები და შეხსენებები

www.mycarhistory.ge

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
It`s Time To Choose Quality...

A giant box appeared in the TBILISI MALL central atrium on MARCH 20, causing great interest in the society



# A box placed in TBI
# 16 days and an Indo

PORS



# LISI MALL for nesian TIGER

According to the information spread anonymously, the box was delivered form Germany as a special parcel and there was an Indonesian Tiger in it. Approaching the box closer than 2 meters, the visitors heard an animal roar.

The story was what mattered here, whether people would believe it or not, it was their interest in the preliminary campaign that counted. There was different video material with the animal's irritation on it spreading in social networks. A video of someone approaching the box with a piece of meat and the actual footage of the tiger shot by the box in Tbilisi Mall also went viral. The word was out that a letter had arrived with the box with strict instructions regarding the time of opening the box: April 5, 20:00. According to the information the same letter stated that hunters with the appropriate equipment would arrive from Indonesia to release the animal.

Besides, every detail that would interest a person aiming to solve the mystery should have been suggestive and attractive; which is why the organizers spent enormous energy on creating the box.

Macan

SCHE



16 დღის განმავლობაში „თბილისი მოლში“ განთავსებული ყუთი და ინდონეზიური ვეფხვი

# PORSCHE MACAN

**20 მარტს** „თბილისი მოლის“ ცენტრალურ ატრიუმში უზარმაზარი ყუთი გამოჩნდა, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

The social network was full of many different ideas regarding the content of the box – whether it was really and Indonesian Tiger or just a marketing move by one of the companies... the writing on the box - Caution! Dangerous animal - only fueled the continuous discussions. The decorations of the box were also interesting: a handmade



picture-story about the life of the tiger. There was a countdown placed by the box, indicating the time left until it was finally opened.

The box should not have left the feel that it was empty, so through hidden cameras, sensors and manual live systems integrated in smartphones the organizers created the impression that the irritated animal roared once someone approached the box. In order to make the campaign more lively,

> ... the writing on the box – Caution! Dangerous animal

videos depicting how the tiger scared off the curious were spread in the social network.

The team working on this project was engaged in the campaign 24/7. Finally, the expectation of opening the box was successfully created and a record amount of visitors went to Tbilisi Mall, most of whom expected a real tiger to come out of the box.

The days on the countdown went to zero on April 5, indicated that there were only several hours until the box was opened. The Tbilisi Mall morning started off with the usual crowd, yet













the number of people gathering around the box grew with the approach of the evening and a special cordon was arranged in the radius of ten meters. Exotic music heard at Tbilisi Mall throughout the day only intensified the interest towards the animal. Several minutes before the opening "aborigines" dressed in special uniforms presented

ანონიმურად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყუთი გერმანიიდან თბილისში სპეციალური ამანათით ჩამოვიდა და მასში ინდონეზიური წარმოშობის ვეფხვი ბინადრობდა. ყუთთან 2 მეტრზე ახლოს მისვლის დროს, დამთვალიერებლებს ცხოველის ღრიალის ხმა ესმოდათ.

მნიშვნელოვანი იყო ისტორია, რომელსაც ხალხი დაიჯერებდა, ან თუ არ დაიჯერებდა, დაინტერესდებოდა საინტერესო კამპანიით. სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა სხვადასხვა ვიდეომასალა, სადაც ჩანდა ცხოველის









The days on the countdown went to zero on April 5

გაღიზიანება. გავრცელდა ყუთთან ხორცის ნაჭრით მიახლოებული ადამიანისა და თავად ნამდვილი ვეფხვის რეალური კადრებიც კი, რომელიც „თბილისი მოლში“, ყუთთან იყო გადაღებული. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ყუთთან ერთად გამოიგზავნა წერილი, რომელშიც მკაცრად იყო მითითებული ყუთის გახსნის დრო: 5 აპრილი, 20:00 საათი. ინფორმაციის თანახმად, წერილშივე იყო ნახსენები, რომ ცხოველის გამოსაშვებად ინდონეზიიდან სპეციალურად ჩამოვიდოდნენ მონადირეები შესაბამისი ეკიპირებით.




ZARA
BEWARE
WILD ANIMAL


ZARA
BEWARE
WILD ANIMAL
BEWARE
WILD ANIMAL
ფრთხილად!
არ შეეხოთ!






PORSCHE
S·VM 6889




PULL&BEAR










გარდა ამისა, ყველა დეტალი, რომელიც საიდუმლოს გასაგებად მისულ ადამიანს დააინტერესებდა, დამაფიქრებელი და მიმზიდველი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ყუთის შექმნას ორგანიზატორებმა უამრავი ენერგია დაახარჯეს.

სოციალურ ქსელებში პირველივე დღიდან გამოითქვა მრავალი მოსაზრება იმის შესახებ, რა იყო ყუთში სინამდვილეში - ინდონეზიური ვეხვი თუ რომელიმე კომპანიის მარკეტინგული სვლა... დისკუსიების უწყვეტ სტიმულირებას ყუთზე გაკეთებული

## ყუთის გახსნის მოლოდინი წარმატებით შეიქმნა და თბილისი მოლში რეკორდული რაოდენობის მნახველი მივიდა

წარწერაც უწყობდა ხელს: „მოერიდეთ, საშიში მტაცებელი ცხოველია" და სასაზღვრო ბეჭდებიც, რაც კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდიდა ამბავს. საინტერესო იყო ყუთის გაფორმებაც: სპეციალურად შექმნილი ხელით ნახატი ისტორია ვეფხვის ცხოვრების შესახებ. ყუთთან განთავსდა უკუმთვლელი საათი, რომელიც საზოგადოებას მისი გახსნის თარიღის მოახლოებას აუწყებდა.

ყუთს არ უნდა დაეტოვებინა სიცარიელის განცდა, ამიტომ ფარული კამერების, სენსორებისა და ზოგჯერ მობილურ ტელეფონებში ინტეგრირებული ხელით მართვადი live სისტემის მეშვეობით ორგანიზატორები ქმნიდნენ განცდას, რომ ყუთთან მიახლოების დროს, გაღიზიანებული ცხოველი ღრიალებდა. ცოტა მხიარული რომ ყოფილიყო კამპანია, ვრცელდებოდა ფარული კამერით გადაღებული ვიდეომასალა, სადაც კარგად ჩანდა როგორ აშინებდა ვეფხვი ცნობისმოყვარეებს.

გუნდი, რომელიც აღნიშნულ პროექტზე მუშაობდა, 24-საათიან რეჟიმში ჩართული იყო კამპანიაში. საბოლოოდ, ყუთის გახსნის



Currently there are three modifications of Macan manufactured: Macan S, Macan S Diesel and Macan Turbo

a rather exotic show to the audience. The entire countdown reached 0 and the black tiger of Indonesian origins, Porsche Macan came out of the grey mist from the box stopping in the center of the audience with a demonstrative circular motion.

Based on the applause and the excited cheering from the audience, the parcel justified the expectation. The name of the automobile - Macan is the name of an Indonesian tiger and the

მოლოდინი წარმატებით შეიქმნა და „თბილისი მოლში" რეკორდული რაოდენობის მნახველი მივიდა, რომელთა უმრავლესობა ნამდვილი ვეფხვის გამოსვლას მოელოდა.

5 აპრილს უკუმთვლელ საათზე გახსნამდე დარჩენილი დღეების რაოდენობის აღმნიშვნელი განულდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ყუთის გახსნამდე სულ რამდენიმე საათიღა იყო დარჩენილი. „თბილისი მოლის" დილა ჩვეული ხალხმრავლობით დაიწყო, თუმცა საღამოს ყუთის ირგვლივ ხალხის რაოდენობამ იმატა და საბოლოოდ, მისგან ათიოდე მეტრის რადიუსში მნახველებით გარშემორტყმული სპეციალური კორდონი გაკეთდა. ეგზოტიკური მუსიკა, რომელიც „თბილისი მოლში" მთელი დღის განმავლობაში ისმოდა, ინტერესს



16-day marketing campaign by Porsche Center Tbilisi was built on that subject.

Macan is the first Porsche automobile in the compact SUV segment. It combines all the main driving characteristics Porsche revealed from the beginning: maximal speed of acceleration and strong brakes, a powerful engine, flexibility and optimal control accuracy.

Many details reveal the wild nature of the automobile. To sum up the exterior in several words, it is low and wide – typical for sports cars. Tiger-like moves are easy to notice in the design. The flat and wide profile of this automobile looks fabulous on the road.

Currently there are 3 modifications of Macan manufactured: Macan S, Macan S Diesel and Macan Turbo.

The model used for the presentation – Macan Turbo is the most powerful automobile in the compact SUV segment. It has a 3.6 liter biturbo engine used for the first time in the Porsche line. With 400 horsepower engine the car can accelerate from 0 to 100 km/h in 4.8 seconds; in 4.6 if the Sport Chrono package is in action. This automobile uses 8.9 – 9.2 liters of fuel per 100kms.

Thus the presentation of the "Indonesian Tiger" at Tbilisi Mall was successful. The audience was very interested in the automobile and many people even wanted to take photos with it. Macan was manufactured in Germany, at the Leipzig factory. Porsche has invested 500 million euros in this factory and created an entire production line with the capacity of manufacturing 50 000 automobiles annually.

It should be noted that this was the first case in Georgia with a live beast being a part of a marketing campaign.







ერთიორად ამძაფრებდა. გახსნამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე სპეციალურ ფორმებში გამოწყობილმა „აბორიგენებმა" მაყურებელს არანაკლებ ეგზოტიკური შოუ წარმოუდგინეს. ნიშნულმა 0-ს მიაღწია და ყუთიდან გამოსული ნაცრისფერი ნისლი შავმა ვეფხვმა, ინდონეზიური წარმოშობის Porsche Macan-მა გაარღვია, რომელიც დემონსტრაციული წრიული მოძრაობით შეკრებილი საზოგადოების შუაგულში გაჩერდა.

როგორც ჩანს, ამანათმა მოლოდინი გაამართლა, რაზეც ხალხის შეძახილები და აპლოდისმენტები მეტყველებდა. ავტომობილის სახელი - Macan ინდონეზიურ ვეფხვს ნიშნავს, შესაბამისად „პორშე ცენტრი თბილისის" მიერ ორგანიზებული 16-დღიანი მარკეტინგული კამპანიაც სწორედ ამ თემაზე აიგო.






Macan-ი Porsche-ს პირველი ავტომობილია კომპაქტურ SUV სეგმენტში. ის აერთიანებს მართვის იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც Porsche-მ დასაწყისშივე გამოავლინა: მაქსიმალური აჩქარება და მძლავრი მუხრუჭები, მძლავრი ძრავა, მოქნილობა და ოპტიმალური მართვის სიზუსტე.

ავტომობილის ველური ხასიათი მრავალ დეტალში იკვეთება. ექსტერიერი ორი სიტყვით რომ შევაჯამოთ, დაბალი და განიერია, როგორც ეს სპორტული ავტომობილებისთვისაა დამახასიათებელი. დიზაინში შეიმჩნევა ვეფხვისებური სვლა. მისი ბრტყელი და განიერი პროფილი გზაზე საუცხოოდ გამოიყურება.

დღეისთვის Macan-ის 3 მოდიფიკაცია იწარმოება: Macan S, Macan S Diesel და Macan Turbo.

აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციის დროს წარმოდგენილი მოდელი - Macan Turbo, ყველაზე მძლავრი მანქანაა compact SUV სეგმენტში. მას აქვს 3,6 ლიტრიანი biturbo ძრავა, რომელიც Porsche-ს სამოდელო რიგში პირველად არის გამოყენებული. 400 ცხენის ძალის მქონე ძრავის მეშვეობით 0-დან 100 კმ სიჩქარეს 4,8 წამში აღწევს; Sport Chrono package-ის გამოყენების შემთხვევაში კი - 4,6 წამში. ავტომობილი 100 კმ-ზე 9,2 - 8,9 ლიტრ საწვავს მოიხმარს.

ამდენად, „ინდონეზიური ვეფხვის" პრეზენტაციამ „თბილისი მოლში" წარმატებულად ჩაიარა. ავტომობილით უამრავი ადამიანი დაინტერესდა და მასთან სურათის გადაღების სურვილიც ბევრმა გამოთქვა. Macan გერმანიაშია დამზადებული, ლაიფციგის ქარხანაში. Porsche-მ ამ ქარხანაში 500 მილიონი ევროს ინვესტიცია დააბანდა და შექმნა მთელი საწარმოო ხაზი, რომელიც წელიწადში 50 000 მანქანას გამოუშვებს.

აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოში, როდესაც ასეთი ტიპის მარკეტინგულ კამპანიაში ცოცხალი მტაცებელი **ცხოველი** მონაწილეობს. ორგანიზატორები სიამაყით აღნიშნავენ, რომ კამპანიისა და გავრცელებული ვიდეომასალების მთავარი გმირი, ვეფხვის ბოკვერი, რომელიც თბილისის ზოოპარკიდან რამდენიმე საათით ესტუმრათ, უკვე „პორშე ცენრი თბილისის" მზრუნველობის ქვეშ იმყოფება და მას სახელად „მაკანი" დაერქვა.

Macan was manufactured in Germany, at the Leipzig factory. Porsche has invested 500 million euros in this factory and created an entire production line with the capacity of manufacturing 50 000 automobiles annually.





The organizers of campaign proudly announced that the main character of the viral videos, the tiger cub who visited them from the Tbilisi Zoo for several hours is currently under the patronage of Porsche Center Tbilisi and was named Macan.

PHOTOS www.porsche.com


ECOPIA
ეკონომია მოძრაობაში*
BRIDGESTONE
BRIDGESTONE
EP150
EP200
EP850
საწვავის ეკონომია*
უსაფრთხოება და საიმედოობა
მაქსიმალური გარბენის რესურსი
*JATA-ს (იაპონიის საავტომობილო ტრანსპორტის ასოციაცია) მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით. გამოკვლევა ჩატარდა 2013 წლის BRIDGESTONE-ის საბურავების EP200 მოდელზე. დამოკიდებულია მართვის სტილზე.
☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors
თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
დროა აირჩიო ხარისხი




# TOYOTA CEN

## The new authorized TOYOTA

TOYOTA Center Tegeta was founded in August 2013 as the new dealer for TOYOTA in Georgia. The company only offered spare parts and accessories for its customers at the first stage and in March 2014 it received the status of an authorized service center from TOYOTA Caucasus (the representative of TOYOTA in the Caucasus, Tajikistan and Turkmenistan). This means that the center will provide a warranty service provided by the manufacturer along the regular service for any TOYOTA automobile purchased on our territory.

Within the warranty period, implying 3 years of 100 000 km mileage after purchase TOYOTA Center Tegeta will provide full regular service written out in the warranty. The fact that

# ტოიოტა ცენტრი თეგეტა

## TOYOTA-ს ახალი ავტორიზებული სერვისცენტრი თბილისში

**ტოიოტა ცენტრი თეგეტა** 2013 წლის აგვისტოში დაარსდა, როგორც TOYOTA-ს ახალი დილერი საქართველოში. პირველ ეტაპზე კომპანია მომხმარებლებს მხოლოდ სათადარიგო ნაწილებს და აქსესუარებს სთავაზობდა, 2014 წლის მარტში კი მან „ტოიოტა კავკასიისგან“ („ტოიოტას“ წარმომადგენელი ამიერკავკასიაში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში) ავტორიზებული სერვისცენტრის სტატუსი მიიღო, რაც გულისხმობს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ნებისმიერ დილერთან შეძენილ TOYOTA-ს მარკის ავტომობილს რეგულარულ სერვისთან ერთად საგარანტიო მომსახურებასაც გაუწევს, რაც TOYOTA-ს, როგორც მწარმოებლის მიერ არის გათვალისწინებული.

საგარანტიო პერიოდში (ავტომობილის შეძენიდან 3 წელი ან 100 000 კმ გარბენი), „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“ ავტომობილებს საგარანტიო პირობებში გაწერილ რეგულარულ მომსახურებას სრულად გაუწევს. ის ფაქტი, რომ კომპანია ოფიციალურად წარმოადგენს TOYOTA-ს ავტორიზირებულ სერვისს, მას აძლევს საშუალებას, „ტოიოტა კავკასიისგან“ მიიღოს იაპონიაში დამზადებული TOYOTA-ს




# TER TEGETA

## service center in TBILISI

the company is the official TOYOTA authorized service representative enables it to receive original spare parts and accessories from Japan through TOYOTA Caucasus. A large TOYOTA Center Tegeta service center is to be opened in June. In the meantime the center is located on the territory of Tegeta Motors Vake branch and with the upcoming changes in June the latter is to be reorganized as well.

At the end of April of the current year, a showroom and offices will be opened and the company will also begin to sell new TOYOTA brand automobiles. At this stage the company is researching the demands and interests of its clients, which will later enable it to fully satisfy their needs. "The showroom and the office will be opened at the end of April and the company will be able to provide full service (including paint and body-jobs) in June. With us one can receive

ორიგინალი ნაწილები და აქსესუარები და შესთავაზოს ისინი მომხმარებელს. „ტოიოტა ცენტრი თეგეტას" დიდი სერვისის გახსნა მიმდინარე წლის ივნისში იგეგმება. დროებით ცენტრი „თეგეტა მოტორსის" ვაკის ფილიალის ტერიტორიაზეა განთავსებული და ივნისის თვეში დაგეგმილ ცვლილებებთან ერთად ამ უკანასკნელშიც რეორგანიზაცია იგეგმება.

მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს გაიხსნება შოურუმი და ოფისები; პარალელურად, კომპანია „ტოიოტას" მარკის ახალი ავტომობილების რეალიზაციას დაიწყებს. ამ ეტაპზე ეს უკანასკნელი კლიენტების მოთხოვნებსა და ინტერესებს იკვლევს, რაც შემდგომში მათი მოთხოვნილებების სრულყოფილად დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს. „შოურუმი და ოფისი აპრილის ბოლოს გაიხსნება, ხოლო სრულყოფილ სერვისს (სათუნუქე-სამღებრო მომსახურების ჩათვლით) კომპანია ივნისის თვეში შესთავაზებს მომხმარებლებს. „ჩვენთან რეგულარული მომსახურების მიღება შეეძლება „ტოიოტა მოტორს ევროპის" (TME) ნებისმიერ დილერთან შეძენილ ავტომობილს, იქნება ეს თბილისში, ბაქოსა თუ ერევანში შეძენილი ავტომობილები. გვექნება როგორც სტანდარტული (სავალი ნაწილის შეკეთება, ზეთები და ფილტრების გამოცვლა), ისე რეგულარული ტექ. მომსახურებაც. დიდ ადგილს დავუთმობთ სათუნუქე-სამღებრო სამუშაოებს და ეს სერვისები მაღალ დონეზე იქნება წარმოდგენილი," - ამბობს „ტოოიტა ცენტრი თეგეტას" დირექტორი, გეგა მეთეფშიშვილი.

service for any car purchased from dealers of TOYOTA MOTORS EUROPE (TME), be it in Tbilisi, Baku, or Yerevan. Both standard repairs (such as the carriageway repairs, oil and filter replacement), and regular maintenance services available at the service center. A large piece of space will be provided for paint and body-jobs and all of these services will be of a very high quality" – says Gega Metepshishvili, Director of TOYOTA Center Tegeta.

The temporary service center currently operates at the Vake branch of Tegeta Motors. It should be noted that all standards from the TOYOTA after-sale service manual are intact. The service center has 80% of its clients pre-recorded for admissions for a rational distribution of time for the company as well as its customers.

As of the rest 20%, the company enables those in a force majeure situation requiring immediate handling to use the services as well. Yet it's a fact that pre-recording appointments is equally beneficial for both, the clients as well as the company, since this provides a much higher level of effectiveness.

It is also an important fact that clients are not allowed to enter the service center unless there is an inevitable necessity for it – for safety reasons. Clients interact with service advisors who do the initial inspection of vehicles. There are many pieces of special equipment at the service center used for different operations, thus a client is not advised to risk entering the premises. This way, technicians can also feel free in their working space and the services are carried out with maximum quality and minimum time. In exceptional cases, when a client has to enter the service center they must be equipped with protective means such as a helmet, glasses and a safety vest.

Thus TOYOTA Center Tegeta will offer renewed and a more diverse choice of services to its clients in the nearest future – including automobile sales and paint and body-jobs.

ამჟამად დროებითი სერვისცენტრის მომსახურება „თეგეტა მოტორსის" ვაკის ფილიალის ტერიტორიაზე ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ აქ დაცულია მომსახურების ყველა ის სტანდარტი, რომელიც გათვალისწინებულია „ტოიოტას" გაყიდვების შემდგომი მომსახურების სახელმძღვანელოთი. სერვისცენტრი კლიენტთა 80%-ის მიღებას წინასწარი ჩაწერის საფუძველზე ახორციელებს, რაც კომპანიის და კლიენტების დროის რაციონალურად გამოყენების სურვილით არის განპირობებული.

რაც შეეხება დარჩენილ 20%-ს, კომპანია სერვისებით სარგებლობის საშუალებას აძლევს იმ კლიენტებსაც, რომლებიც ფორსმაჟორულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ და ამა თუ იმ მიზეზის გამო დაუყოვნებელ მომსახურებას საჭიროებენ. ზოგადად კი, ფაქტია, რომ წინასწარი ჩაწერა თანაბრად მომგებიანია როგორც კლიენტებისთვის, ისე კომპანიისათვის, რადგან ასეთ შემთხვევაში მომსახურების ეფექტურობა გაცილებით მაღალია.


Yuji Wagata (President of Toyota Caucasus),
Temur Kokhodze (President of Tegeta Motors),
Gega Metepshishvili (General Manager of Toyota Center Tegeta)

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ კლიენტების უსაფრთხოების მიზნით, გარდაუვალი საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, მათ სერვისში შესვლა ეკრძალებათ. კლიენტებს უშუალო ურთიერთობა აქვთ სერვისის მრჩეველებთან, რომლებიც ავტომობილების პირველად დათვალიერებას ახდენენ. სერვისცენტრში სხვადასხვა ოპერაციების ჩასატარებლად განკუთვნილი მრავალი არასტანდარტული ხელსაწყოა, შესაბამისად, მოუმზადებელი კლიენტისთვის რისკის გაწევა არ არის მიზანშეწონილი. ასე ტექნიკოსიც მეტად თავისუფლად გრძნობს თავს თავის სამუშაო სივრცეში და მომსახურებაც მაქსიმალური ხარისხით და მინიმალურ დროში ხორციელდება. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც კლიენტის შესვლა სერვისცენტრში აუცილებელია, იგი აუცილებლად აღიჭურვება ისეთი დამცავი საშუალებებით, როგორიცაა: ჩაფხუტი, სათვალე და უსაფრთხოების ჟილეტი.

ამდენად, „ტიოტა ცენტრი თეგეტა" უახლოეს მომავალში კლიენტებს განახლებულ, უფრო მრავალფეროვან სერვისებს შესთავაზებს, მათ შორის ავტომობილების რეალიზაციასა და სათუნუქე-სამღებრო სამუშაოებს.

PHOTOS Tegeta Motors archive





VARTA® Start-Stop batteries are built to power next-generation automotive systems. No wonder the majority of leading car manufacturers trust us. And with a specifically designed product range, plus unrivalled service and support from the VARTA Start-Stop Service Program, so can you.

**To profit from the future, get in touch now: www.varta-automotive.com**

*It all starts with* **VARTA**

Johnson Controls

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...

# Famous RACERS

There have been many distinctive racers in the history of Formula 1. Risk is the main and an integral part of their lives. Every one of them knows that each race could be their last.

# ცნობილი მრბოლელები

ფორმულა 1-ის ისტორიაში უამრავი გამორჩეული მრბოლელია. რისკი მათი ცხოვრების მთავარი და განუყოფელი ნაწილია. ყველა მათგანმა იცის, რომ ყოველი რბოლა შეიძლება უკანასკნელიც აღმოჩნდეს.




Fernando Alonso
Chinese GP

## MICHAEL SCHUMACHER

1994, 1995, 2000, 2002, 2003, 2004 – seven-time Formula 1 winner Michael Schumacher is fighting death. He had an accident when he was skiing, he damaged his head.

The story of this boy from West Germany starts with his love for kart racing. He used to train at home, at the autobahn his father made. At the age of 12 he received his driver's license in Luxemburg. He got the German driving license only 2 months later. Since then, participation and winning became a constant part of his life. In 1989 Michael Schumacher became a member of the Formula Three team with the sponsorship from Willie Webber.

Schumacher debuted in Formula 1 Grand Prix in 1991. He was racing under Jordan Ford's team. He continued his career at Benetton Ford and then became a driver for Ferrari in 1996. Because of the red automobile he was called the Red Baron. They spoke a lot about him being an experienced and talented racer all through his career. Experience is best tested in rain. "The Rain King" has won 17 out of 30 races on a wet track.

For the first time in the history of Formula 1 brothers, Michael and Ralph Schumacher won the race. Despite the fact that Schumacher has finished his racing career, he still remains to be the world's most famous and highest-paid racer.







## მიხაილ შუმახერი

1994, 1995, 2000, 2002, 2003, 2004 – შვიდჯერ ფორმულა 1-ის გამარჯვებული მიხაილ შუმახერი სიკვდილს ებრძვის. თხილამურებით სრიალისას დაეცა და თავი დაიზიანა.

დასავლეთ გერმანელი ბიჭის ისტორია კარტინგის სიყვარულით იწყება. სახლში მამის გაკეთებულ ავტობანზე ვარჯიშობდა. 12 წლისამ ლუქსემბურგში, კარტინგის მართვის უფლება მოიპოვა. გერმანული მართვის მოწმობა კი მხოლოდ 2 წლის შემდეგ აიღო. მას შემდეგ მონაწილეობა და გამარჯვება მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. 1989 წელს მიხაილ შუმახერი ვილი ვებერის დაფინანსებით Formula Three-ის გუნდში მოხვდა.

შუმახერის დებიუტი ფორმულა 1-ის გრანდ პრიქსზე 1991 წელს შედგა. ის „ჯორდან ფორდის“ გუნდის სახელით გამოდიოდა. კარიერა „ბენეტონ ფორდში“ გააგრძელა. „ფერარის“ მრბოლელი კი 1996 წელს გახდა. წითელი სარბოლო ავტომობილის გამო, მას „წითელ ბარონსაც“ უწოდებენ. კარიერის მანძილზე მასზე, როგორც გამოცდილ და ნიჭიერ მრბოლელზე, ბევრს საუბრობდნენ. მრბოლელის გამოცდილება კი ყველაზე კარგად წვიმიან ამინდში იგრძნობა. „წვიმის მეფეს“ ნესტიან დღეებში 30-დან 17 რბოლა აქვს მოგებული.

მიხაილ და რალფ შუმახერები პირველი ძმები იყვნენ ფორმულა 1-ის ისტორიაში, რომლებმაც რბოლა მოიგეს მიუხედავად იმისა, რომ შუმახერმა კარიერა დაასრულა, ის მაინც, ყველაზე ცნობილ და მაღალანაზღაურებად მრბოლელად რჩება.



## EDDIE JORDAN

Eddie Jordan is not famous for the Grand Prix races he has won; he is also not as popular as Michael Schumacher, yet every Formula 1 racer knows who EJ is. The biography of this Irishman reads: the founder and owner of Jordan Grand Prix, Formula 1 reporter on BBC. Eddie Jordan is a racer, a businessman, a musician and a mentor to future racers.

He dreamed of becoming a dentist, but he worked as a cashier at a bank. He attended a kart race on a holiday once and became interested. Returning to Dublin he bought a go-kart. In 1971 he competed in the Ireland Kart-Race Championship and won.

In 1974 Eddie Jordan joined Formula Ford. He had to quit soon because of the fractures on both legs. After recovery he competed in the Formula Atlantic Race and won three times. Racing in the British Formula Three under the name "Team Ireland" is a notable event in his racing career. In 1979 the racer founded his team with a small budget and a big perspective. Schumacher bothers, Ayrton Senna, Damon Hill and others are among his mentees.









## ედი ჯორდანი

ედი ჯორდანი ცნობილი არაა მოგებული გრანდ პრიქსის რბოლებით; არც ისეთი პოპულარულია, როგორც მიხაილ შუმახერი. თუმცა ფორმულა 1-ის ყველა მრბოლელმა იცის, ვინ არის EJ. ირლანდიელის შესახებ ვკითხულობთ: ის არის Jordan Grand Prix-ის დამაარსებელი და მფლობელი, ფორმულა 1-ის რეპორტიორი BBC-ზე. ედი ჯორდანი მრბოლელი, მეწარმე, ბიზნესმენი, მუსიკოსი და მომავალი მრბოლელების აღმზრდელია.

ოცნებობდა, რომ გამხდარიყო დანტისტი, მაგრამ ბანკში მოლარედ მუშაობდა. ერთხელ, არდადეგებზე კარტინგით შეჯიბრს დაესწრო და დაინტერესდა. დუბლინში დაბრუნებულმა კარტინგი შეიძინა. 1971 წელს მან პირველად იასპარეზა ირლანდიის კარტინგის ჩემპიონის ტიტულისათვის და მოიგო კიდეც.

1974 წელს ედი ჯორდანი „ფორმულა ფორდს" უერთდება. თუმცა, მალევე, ორივე ფეხის მოტეხილობის გამო, რბოლას ეთიშება. გამოჯანმრთელების შემდეგ ის Formula Atlantic-ის რბოლაში ასპარეზობს და სამჯერ იმარჯვებს. მისი, როგორც მრბოლელის, კარიერიდან აღსანიშნავია ბრიტანულ Formula Three-ში მონაწილეობა ირლანდიის გუნდის სახელით. 1979 წელს მრბოლელი საკუთარ გუნდს აარსებს, მცირე სახსრებით და დიდი პერსპექტივით. ძმები შუმახერები, აირტონ სენა, დაიმონ ჰილი და სხვები ედი ჯორდანის „აღზრდილების" სიაში არიან.

## AYRTON SENNA

The most popular and successful racer after Michael Schumacher, Ayrton Senna died in a race in 1994. This Brazillian racer was a three-time Formula 1 winner. He started off with Kart racing and then moved up to open-wheel racing.

Senna debuted in Formula 1 in 1984 in the Toleman-Hart team. He was also rather successful in the Lotus-Renault team. Within three seasons he became the Grand Prix winner 6 times. Senna connected his career with McLaren-Honda. 16 Grand Prix and the first title of the World Champion – in 1990; years 1991 and 1992 also turned out to be successful, Ayrton Senna became World Champion three times in a row. The Williams-Renault team dominated at that time and Ayron Senna, racing under their name finished his career and life in San Marino.

His death was preceded by the death of another famous racer Roland Ratzenberger. The Formula 1 doctor suggested Senna had a rest and went fishing. But he still decided to carry on with the race. On his last morning he spoke with his teammate, sharing his idea of establishing an association for racer's safety. With damages to the skull, brain and central artery, Ayrton Senna died at the hospital. They found the Austrian flag in his automobile he was planning to raise to honor Roland Ratzenberg upon winning the race.










## აირტონ სენა

მიხაილ შუმახერის შემდეგ ყველაზე პოპულარული და ყველაზე წარმატებული მრბოლელი, აირტონ სენა 1994 წელს რბოლის დროს დაიღუპა. ბრაზილიელი მრბოლელი სამგზის ფორმულა 1-ის გამარჯვებულია. კარიერის დასაწყისში სენა კარტინგით, შემდეგ კი ღია საბურავიანი ავტომობილების რბოლაში იყო ჩართული.

ფორმულა 1-ში სენას დებიუტი 1984 წელს, Toleman-Hart-ის გუნდში შედგა. წარმატებული გამოდგა მისი ასპარეზობა Lotus-Renault-ის ჯგუფშიც. სამი სეზონის განმავლობაში ის 6-ჯერ გახდა გრდანდ პრიქსის გამარჯვებული. სენამ კარიერა McLaren-Honda-ს დაუკავშირა. 16 გრანდ პრიქსი და პირველი მსოფლიო ჩემპიონობა – 1990 წელს; წარმატებული აღმოჩნდა 1991 და 1992 წლებიც, აირტონ სენა ზედიზედ სამჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. ამ დროისთვის დომინირებდა Williams-Renault, გუნდი, რომლის სახელით მოასპარეზე აირტონ სენამ სან-მარინოში კარიერა და სიცოცხლე დაასრულა.

მის გარდაცვალებას წინ უძღვოდა მეორე ცნობილი მრბოლელის, როლანდ რათზენბერგის სიკვდილი რბოლის დროს. სენას ფორმულა 1-ის ექიმმა ურჩია, დაესვენა და ეთევზავა. თუმცა, მან რბოლის გაგრძელება გადაწყვიტა. უკანასნელ დილას ის თანაგუნდელს ესაუბრებოდა, სურდა, დაეარსებინა ასოციაცია, რომელიც მრბოლელთა უსართხოებაზე იზრუნებდა. თავის ქალის, ტვინისა და ცენტრალური არტერიის დაზიანებით აირტონ სენა საავადმყოფოში გარდაიცვალა. მის ავტომობილში ავსტრიის დროშა იპოვეს, რომლის აღმართვასაც ის გამარჯვების შემთხვევაში როლანდ რათზენბერგის პატივსაცემად აპირებდა.

## LEWIS HAMILTON

This guy is only 29 years old. When he was 16 Schumacher said he would definitely get to Formula 1. Of course, he was right. He was noticed very soon for his distinctive skills and the attention from this experienced racer.

This British racer was only 10 when he approached Dennis, the head of the McLaren team and told him: "I will become a member of your racing team someday. I want to race under the name of McLaren." and as a reply Ron Dennis autographed on his book: "Call me in 9 years, we will work something out".

It took Lewis Hamilton 3 years to get to what Ron Dennis had given him 9 years for. McLaren signed a contract with him and promised his support to the young racer. After winning British Formula Renault, Formula Three Euroseries and the GP2 championship Lewis debuted in Formula 1. With a contract he signed with McLaren he became the youngest racer in the history of Formula 1.

Ayrton Senna is Hamilton's idol. It is in his honor Lewis wears a yellow helmet. It matters greatly to him that his fans and father notice him and know exactly, which automobile he drives.

Hamilton debuted in Formula 1 Grand Prix in 2007, in Australia. That same year he won the Canadian Grand Prix. He became World Champion in 2008.










According to the rules of 2014, Hamilton chose the automobile number on his own. Member of the Mercedes AMG team competes with number 44, just like he did when he did kart-racing at the age of 8.

## ლევის ჰამილტონი

ეს ბიჭი ჯერ მხოლოდ 29 წლისაა. როცა16 წლის იყო მასზე შუმახერმა თქვა, რომ ის აუცილებლად მიაღწევდა ფორმულა 1-მდე. რა თქმა უნდა, არ შემცდარა. გამოცდილი მრბოლელის ყურადღების  და გამორჩეული უნარების გამო ის მალევე შეამჩნიეს.

ბრიტანელი მრბოლელი მხოლოდ 10 წლის იყო, როცა რონ დენისთან, McLaren-ის გუნდის უფროსთან მივიდა და უთხრა: „ოდესმე მე თქვენი სარბოლო გუნდის წევრი გავხდები. მე მინდა McLaren-ის სახელით ვიასპარეზო." რონ დენისმა კი წიგნზე ავტოგრაფად დაუტოვა: „დამირეკე 9 წელში, რამეს მოვახერხებთ".

თუმცა ლევის ჰამილტონმა სამ წელში გააკეთა ის, რისთვისაც რონ დენისმა 9 წელი მისცა. McLaren-მა მას კონტრაქტი გაუფორმა და, როგორც ახალგაზრდა მრბოლელს, დახმარება აღუთქვა. British Formula Renault, Formula Three Euroseries და GP2 ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ, ლევისის დებიუტი ფორმულა 1-შიც შედგა. კონტრაქტით, რომელიც მან McLaren-თან გააფორმა, ის ყველაზე ახალგაზრდა მრბოლელი გახდა, ფორმულა 1-ის ისტორიაში.

ჰამილტონის კუმირი აირტონ სენაა. სწორედ მის პატივსაცემად მრბოლელის ბოლიდი ყვითელი ფერისაა. რბოლის დროს მისთვის აუცილებელია, რომ გულშემატკივარმა და მამამ, შეამჩნიონ და ზუსტად იცოდნენ, რომელ ავტომობილს მართავს ის.

ჰამილტონის დებიუტი ფორმულა 1-ის გრანდ პრიქსზე 2007 წელს შედგა, ავსტრალიაში. იმავე წელს ის კანადური გრანდ პრიქსის გამარჯვებული გახდა. მსოფლიო ჩემპიონობა კი 2008 წელს მოიპოვა.

2014 წლის წესების თანახმად, ჰამილტონმა თავად აირჩია ავტომობილის ნომერი. Mercedes AMG გუნდის წევრი 44 ნომრით ასპარეზობს, როგორც 8 წლის ასაკში, კარტინგით რბოლისას.





• MAGAZINE FOR SMART, STRONG AND TASTEFUL MEN •

+995.32.2.946446 • info@ego.com.ge • facebook.com/EGO.mag

FlitMedia publishing house

Tegeta Motors creates and sets

# NEW STANDARDS

in the field of Georgian automobile service

Tegeta Motors is currently the leader in the field of automobile products and services. This multi-brand company is the official partner and representative of over 300 premium brands in Georgia. The company is represented with equal success on the entire Caucasus market. Tegeta Motors is the largest and ever-growing player in its field and the biggest employer in the private sector.

Six months ago the company decided to create Tegeta Academy with the main purpose of training and ensuring further development of the company staff. The HR Director for Tegeta Motors, Lika Nozadze says there were several reasons behind the necessity of establishing the Academy. One of which was the existing situation on the labor market.

თეგეტა მოტორსი ქმნის და ამკვიდრებს

# ახალ სტანდარტს

ქართულ საავტომობილო სფეროში

**თეგეტა მოტორსი** დღეს ლიდერია საავტომობილო პროდუქტებისა და მომსახურების დარგში. მულტიბრენდული კომპანია 300-ზე მეტი პრემიუმ ბრენდის ოფიციალური პარტნიორი და წარმომადგენელია საქართველოში. კომპანია ასეთივე წარმატებით არის წარმოდგენილი ამიერკავკასიის




Tegeta Motors is the largest player on the market

"As you are aware, Tegeta Motors is the largest player on the market. We have a justified ambition of providing the best quality products and services. The labor market has a shortage of the kind of workers we need in terms of quality

> It is important that professionals employed at Tegeta Motors grow with the company and that is impossible to achieve without a training center.

as well as amounts. Without trainings it takes quite a long time for the selected employees to adapt to the specifics and business processes of the company – 6 months to a year for consultants and several years for automobile mechanics. Targeted professional training decreases this time at least by a half and significantly raises the quality levels" – Lika Nozadze says.

Besides, the company is constantly growing. For example, up to 200 people joined the Tegeta Motors team last year. The company keeps developing quality and setting new standards on the



ბაზარზე. „თეგეტა მოტორსი" უმსხვილესი და მუდმივად მზარდი მოთამაშეა თავის სფეროში და ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელი კერძო სექტორში.

ნახევარი წლის წინ კომპანიამ გადაწყვიტა „თეგეტა აკადემიის" შექმნა, რომლის ძირითადი მიზანი კომპანიის თანამშრომლების ტრენინგზე და განვითარებაზე ზრუნვაა. „თეგეტა მოტორსის" HR დირექტორი, ლიკა ნოზაძე, ამბობს, რომ აკადემიის შექმნის საჭიროება რამდენიმე მიზეზის გამო გაჩნდა; მათგან ერთ-ერთი შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობაა.

„მოგეხსენებათ, „თეგეტა მოტორსი" უმსხვილესი მოთამაშეა ბაზარზე. ჩვენ გვაქვს გამართლებული ამბიცია საუკეთესო ხარისხის პროდუქტსა და მომსახურებაზე. გამოცდილი კადრი შრომის ბაზარზე ძალიან ცოტაა. ტრენინგის გარეშე შერჩეული კადრების კომპანიის სპეციფიკასთან და ბიზნესპროცესებთან ადაპტაცია საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს –







market. According to Lika Nozadze, it is important that professionals employed at Tegeta Motors grow with the company and that is impossible to achieve without a training center.

As they explain it at the company Tegeta Academy is busy re-training the current staff and preparing new employees. Trainings are held in several main directions: professional trainings, service quality (the so-called Service+) and personal development trainings. The courses are meant for employees at the front office (consultants, auto-mechanics and managers) as well as the back office.

## თეგეტა მოტორსი აქტიურად იყენებს საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების რესურსს

კონსულტანტების შემთხვევაში - 6 თვიდან 1 წლამდე, ხოლო ავტომექანიკოსებისთვის - რამდენიმე წელი. მიზანმიმართული პროფესიული ტრენინგი მინიმუმ 2-ჯერ ამცირებს ამ დროის რაოდენობას, ხოლო ხარისხს საგრძნობლად ზრდის,“ - ამბობს ლიკა ნოზაძე.



The Tegeta Academy Manager Ani Gagua tells us: “We completed the project of preparing young mechanics several months ago. The project implies a 3-month intensive theory course and 6 months of practice works. Consultants are currently trained at the Academy receiving general knowledge about automobiles, studying our products, programs we use on a daily basis as well as being trained in sales skills and quality service. It is a very important fact that Tegeta Academy pays a stipend to its future employees undergoing training. We also try to attract the best resources on the market and maintain their motivation.

Tegeta Academy is busy re-training the current staff and preparing new employees

Tegeta Motors is actively using the resources provided by its international partnering organizations. Employees constantly attend technical trainings in Georgia with invited trainers as well as abroad, at companies such as Bridgestone, Michelin, Shell, Hengst, ZF Parts, Lemforder, Philips, BOSCH, BPW, MAN etc.” According to company representatives there are approximately 30 such trainings held throughout the year.

გარდა ამისა, კომპანია მუდმივად იზრდება. მაგალითისთვის, გასულ წელს 200-მდე ადამიანი შეუერთდა ჩვენს გუნდს. „თეგეტა მოტორსი“ მუდმივად ავითარებს ხარისხს და ადგენს ახალ სტანდარტებს ბაზარზე. ლიკა ნოზაძის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ პროფესიონალები, რომლებიც მათთან მუშაობენ, იზრდებოდნენ კომპანიასთან ერთად და ამ მიზნის ეფექტურად მიღწევა ტრენინგცენტრის გარეშე შეუძლებელია.

როგორც კომპანიაში განმარტავენ, „თეგეტას აკადემია“ ამჟამად არსებული კადრების გადამზადებით და ახალი კადრების მომზადებით არის დაკავებული. ტრენინგები რამდენიმე ძირითადი მიმართულებით ტარდება: პროფესიული ტრენინგები, მომსახურების ხარისხი (ე.წ. Service+ ) და პიროვნული განვითარების ტრენინგები. კურსები განკუთვნილია როგორც ფრონტ ოფისში მომუშავე თანამშრომლებისთვის (კონსულტანტები, ავტომექანიკოსები, მენეჯერები), ასევე ბექ ოფისისთვის.

„თეგეტას აკადემიის“ მენეჯერი, ანი გაგუა გვიყვება: „რამდენიმე თვის წინ დავასრულეთ ახალგაზრდა ავტომექანიკოსების მომზადების პროექტი, რომელიც გულისხმობს 3-თვიან ინტენსიურ თეორიულ კურსს და 6-თვიან სამუშაო პრაქტიკას. ამჟამად მიმდინარეობს კონსულტანტების



Tegeta Motors constantly takes care of service quality. There are intensive so-called Service + trainings for all existing and new employees of the front office for this purpose.

"Human resources are our main capital. Tegeta Motors has unique employees who have grown with the company and have invaluable knowledge. Using their resources is highly important when preparing new staff. This is why Tegeta Academy has created a group of corporate trainers; they have been through special retraining and all professional trainings are currently held by Tegeta employees." – says Lika Nozadze.

The Company is currently implementing a current process assessment and motivation system through which the employees will be evaluated, revealing their strengths and weaknesses and the necessity for training.

მომზადება. ისინი იღებენ ზოგად ცოდნას ავტომობილის შესახებ, სწავლობენ ჩვენს პროდუქტებს, პროგრამებს, რომლებშიც ვმუშაობთ, ასევე გადიან ტრენინგებს გაყიდვების უნარ-ჩვევებში და მომსახურების ხარისხში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აკადემია მომავალ თანამშრომლებს, უხდის სტიპენდიას; ასე ვცდილობთ, მოვიზიდოთ საუკეთესო კადრები და შევინარჩუნოთ მათი მოტივაცია.

„თეგეტა მოტორსი" აქტიურად იყენებს საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების რესურსს. თანამშრომლები მუდმივად ესწრებიან ტექნიკურ ტრენინგებს, როგორც საქართველოში, მოწვეულ ტრენერებთან, ისე საზღვარგარეთ, ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა: Bridgestone, Michelin, Shell, Hengst, ZF Parts, Lemforder, Philips, Bosch, BPW, MAN და სხვა". როგორც კომპანიაში ამბობენ, წლის განმავლობაში დაახლოებით 30 მსგავსი ტრენინგი ტარდება.

„თეგეტა მოტორსი" მუდმივად ზრუნავს მომსახურების ხარისხზე. ამ მიზნით ინტენსიურად ტარდება ე.წ. Service+ ტრენინგები ფრონტ ოფისის ყველა არსებული და ახალი თანამშრომლისთვის.

„ჩვენი ძირითადი კაპიტალი ადამიანური რესურსია. „თეგეტა მოტორსს" ჰყავს უნიკალური კადრები, რომლებიც გაიზარდნენ კომპანიასთან ერთად და ფლობენ შეუფასებელ ცოდნას. მათი რესურსის გამოყენება უმნიშვნელოვანესია ახალი კადრების მომზადებისას. სწორედ ამიტომ, „თეგეტას აკადემიამ" შექმნა კორპორატიული ტრენერების გუნდი, მათ გაიარეს სპეციალური გადამზადება და დღეს ყველა პროფესიული ტრენინგი ტარდება კომპანიის თანამშრომლების მიერ," - ამბობს ლიკა ნოზაძე.

ამჟამად კომპანიაში მიმდინარეობს შეფასებისა და მოტივაციის სისტემის დანერგვა, რომლის საშუალებითაც შეფასდებიან თანამშრომლები, გამოვლინდება მათი სუსტი და ძლიერი მხარეები და დადგინდება ტრენინგის საჭიროებები.

ანი გაგუა ამბობს, რომ ტრენინგი და განვითარება მუდმივი პროცესია და კომპანიის ზრდის ტემპს უნდა მიყვებოდეს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი თანამშრომლების კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების შეფასებისა და განვითარების უწყვეტი ციკლი.

„თეგეტას აკადემიას" უახლოეს მომავალში 2 მნიშვნელოვანი ცვლილება აქვს დაგეგმილი:

მოგეხსენებათ, „თეგეტა მოტორსის" სერვისცენტრები აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკით. აკადემია პრაქტიკული ტრენინგებისთვის ამ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას იყენებს და გაფართოებას გეგმავს. „აპრილის თვიდან დავიწყეთ მუშაობა „თეგეტას აკადემიის"

Ani Gagua says that training and development is a constant process and it should keep up with the tempo at which a company is growing. This is why a continuous cycle of evaluating employee competence and skills is important.

Tegeta Academy has 2 important changes planned for the nearest future:

As you know Tegeta Motors service centers are equipped with modern facilities and technologies. Tegeta Academy is currently using this material-technical base for trainings and is planning to expand it.

“From April we started working on Tegeta Academy training center constructions and equipment. We will have fully equipped training and seminar rooms, computer rooms and a conference hall by summer” – said the HR Director for Tegeta Motors, Lika Nozadze.

Besides,Tegeta Academy is planning to announce open courses.

“We are already cooperating with our partners and dealers and provide re-training for their employees. We think that Tegeta Academy will be able to announce open courses by summer for all interested candidates who wish to master the profession of an auto-mechanic, or deepen their knowledge in this direction and become certified by the Tegeta Academy. Successful candidates will have the opportunity to start their career at Tegeta Motors” – says Ani Gagua, Manager at Tegeta Academy.

As always, Tegeta Motors is creating and establishing new standards in the Georgian automotive field. Tegeta Academy is another novelty on the market with the main goal of preparing the best staff and contributing to the development of the field.



ტრენინგცენტრის მშენებლობასა და მოწყობაზე. ზაფხულისთვის გვექნება თანამედროვედ აღჭურვილი სატრენინგო და სასემინარო ოთახები, კომპიუტერის აუდიტორიები და საკონფერენციო ოთახი,“ - გვითხრა „თეგეტა მოტორსის“ HR დირექტორმა, ლიკა ნოზაძემ.

გარდა ამისა, აკადემია ღია კურსების გამოცხადებას აპირებს.

„ჩვენ უკვე ვთანამშრომლობთ პარტნიორებთან და დილერებთან და უზრუნველვყოფთ მათი თანამშრომლების გადამზადებას. ვფიქრობთ, რომ ზაფხულისთვის ღია კურსების გამოცხადებას შევძლებთ ყველა მსურველისათვის, ვისაც სურს დაეუფლოს ავტომექანიკოსის პროფესიას, ან გაიღრმავოს ცოდნა ამ მიმართულებით და მიიღოს „თეგეტას აკადემიის“ სერთიფიკატი. წარმატებულ კანდიდატებს კი მივცეთ „თეგეტა მოტორსში“ კარიერის დაწყების საშუალება,“ - ამბობს „თეგეტას აკადემიის“ მენეჯერი, ანი გაგუა.

„თეგეტა მოტორსი“, როგორც ყოველთვის, ქმნის და ამკვიდრებს ახალ სტანდარტს ქართულ საავტომობილო სფეროში. „თეგეტას აკადემია“ კიდევ ერთი ახალი სიტყვაა, რომლისთვისაც მთავარი გამოწვევა საუკეთესო კადრების მომზადება და სფეროს განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანაა.

PHOTOS Tegeta Motors archive




# On the road with full power:
# SACHS offers safety.



SACHS products are used in millions of vehicles all over the world. They stand for a maximum of safety, high driving comfort and outstanding reliability. SACHS is the first choice when it comes to clutches and shock absorbers. Because we combine the expertise of the OEM business with the innovative power of Formula One racing. Take advantage of our experience. We are happy to be of your assistance.

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...

SACHS

www.zf.com

# MARCH 8

## An event that has turned into a tradition at TEGETA MOTORS and many gifts for ladies

For the third year now, Tegeta Motors has been arranging special surprises for women for March 8. This year was no exception and the event the company organized was greatly appreciated by the attendants as well as the media. Tegeta Motors spread the word about the March 8 promotion in advance, which resulted in up to 500 women visiting the head office on the day of the event.



Along with several partnering companies Tegeta Motors offered female drivers many interesting gifts. Promo-boys dressed in suits were there to greet the ladies with flower bunches. A professional photographer arranged a photo session for them by the Porsche Panamera presented at the Rustaveli Theatre last year. The promotion started at 9AM and ended at 7 o'clock in the evening. Upon opening the service center took in 60 automobiles at the same time. Despite the fact that the place was crowded, there were no unpleasant queues at the service center

# 8 მარტი

## ტრადიციად ქცეული ღონისძიება თეგეტა მოტორსში და უამრავი საჩუქარი ქალბატონებს

**უკვე მესამე წელია**, რაც „თეგეტა მოტორსი" ქალბატონებს 8 მარტის აღსანიშნავად განსაკუთრებულ სიურპრიზებს სთავაზობს. გამონაკლისი არც წლევანდელი წელი ყოფილა; კომპანიის მიერ ორგანიზებულმა ღონისძიებამ როგორც დამსწრე საზოგადოების, ისე მედიის დიდი მოწონება დაიმსახურა. „თეგეტა მოტორსმა" სარვამარტო აქციის ანონსი გააკეთა, რის შედეგადაც აღნიშნულ დღეს ცენტრალურ ფილიალს 500-მდე ქალბატონი ეწვია.















– the event was very well-organized and women spent their day in a pleasant environment.

The guests at branch offices received a one-time carriageway checkup and computer diagnostics voucher for their vehicles that they can use at any time throughout the year; the voucher also included a one-time car wash coupon. 20% discount cards for all kinds of services were also presented to them by Tegeta Motors.

The day started off pleasantly for every woman attyending the event. Upon arrival to the service center they would leave the keys to the service manager while they spent time receiving many presents from Tegeta Motors and other

სხვა მრავალ პარტნიორ კომპანიასთან ერთად ქალბატონ მძღოლებს „თეგეტა მოტორსმა" ბევრი საინტერესო საჩუქარი გადასცა. იქ მისულ ქალბატონებს სმოკინგებში გამოწყობილი პრომო-ბიჭები დახვდნენ და ყვავილები მიართვეს. პროფესიონალმა ფოტოგრაფმა ქალბატონებს ფოტოსესია მოუწყო ავტომობილ „პორშე პანამერასთან", რომლის პრეზენტაციაც გასულ წელს რუსთაველის თეატრში გაიმართა. აქცია დილის 9 საათზე დაიწყო და საღამოს 7-ზე დასრულდა. გახსნისთანავე სერვისცენტრმა ერთდროულად 60 ავტომობილი მიიღო, თუმცა მიუხედავად ხალხმრავლობისა, უსიამოვნო რიგები არ ყოფილა.

ფილიალში მისულმა სტუმრებმა ცენტრისგან საჩუქრად ვაუჩერები მიიღეს, რომელთა მეშვეობითაც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ დროს ერთხელ შეუძლიათ ჩაუტარონ საკუთარ ავტომობილს სავალი ნაწილის შემოწმება და კომპიუტერული დიაგნოსტირება; ვაუჩერში ასევე შედიოდა ერთჯერადი რეცხვის ტალონიც. საჩუქრებს შორის იყო ყველა სხვა სერვისის მომსახურებაზე მარტის




partnering companies. Julius Meinl served coffee for the ladies while the "Melange" Beauty Salon Network provided them with free manicure on the spot.

Partnering companies arranged special prizes for this day for the ladies attending the event: "ElitElectronics" handed out 100 GEL discount cards for all kinds of electronics, jewelry shop network Franco Fontana awarded them with discount cards for up to 55%, they also received 15% discount cards for any jewelry product by "Mandarina", whereas "Ardi" company gifted the ladies with VIP cards and unprecedented discount vouchers for car insurance.

This was not it, of course: the beauty salon "Melange" also gave out discount

თვის ბოლომდე მოქმედი 20%-იანი ფასდაკლების ბარათები დღე თითოეული ქალბატონისთვის სასიამოვნოდ დაიწყო. ფილიალში მისვლისთანავე ავტომობილის გასაღებს სერვისის მენეჯერს უტოვებდნენ, თვითონ კი „თეგეტა მოტორსისა" და ღონისძიების პარტნიორი კომპანიებისაგან უამრავ საჩუქარს იღებდნენ. სტუმრებს ყავით Julius Meinl გაუმასპინძლდა, ხოლო სილამაზის სალონების ქსელი „მელანჟი" ყველა მსურველს ადგილზევე უკეთებდა უფასო მანიკურს.

## სადღესასწაულო ღონისძიების მედიაპარტნიორები იყვნენ ჟურნალები – EGO და EGO MEN




vouchers for different procedures: 40% discount on laser procedures, 50% discount on tanning beds and a 20% for the rest of available services. Also, the international aesthetic medicine center La Belle Medical gifted the ladies with 25 GEL vouchers for any type of service. Everyone who received a voucher automatically became a part of the lottery and 2 winners were announced at the end of the day receiving additional prizes, 50-minute tanning bed vouchers.

Public Relations Manager for Tegeta Motors, Diana Velengurskaia noted that this years' event was the most crowded and distinctive of all previous arrangements: "It turned out to be a beautiful event for all the ladies. Seeing

## თეგეტა მოტორსში საიუველირო კომპანია FREYWILLE-ს გამოფენა მოეწყო

სპეციალურად ამ დღისთვის პარტნიორმა კომპანიებმა ღონისძიებაზე მისული ქალბატონებისთვის განსაკუთრებული საჩუქრები დააწესეს: 100-ლარიანი ფასდაკლების ბარათი კომპანია „ელიტ-ელექტრონიქსისაგან",55%-მდე ფასდაკლების ბარათები საიუველირო მაღაზიათა ქსელ Franco Fontana-საგან, ასევე 15%-იანი ფასდაკლების ბარათები „მანდარინას" ნებისმიერ პროდუქციაზე, ხოლო კომპანია „არდისგან" - VIP მომსახურების ბარათები და უპრეცედენტო ფასდაკლების ვაუჩერები ავტომობილის დაზღვევაზე.










them smile was the most pleasant part of the day. Once we announced the event, everyone was asking the same thing – whether everyone would really receive gifts. That's how it happened. Up to 500 women visited us this year, which means that the number of ladies wishing to cooperate with us has increased compared to the previous year."

Tegeta Motors arranged a flashmob at Tbilisi Mall last year where boys in suits congratulated women with the 8th of March with a dance and invited them to the promotion, whereas on the event before that, Tegeta Motors offered women a drive in a Porsche.

Within the frames of this year's event Tegeta Motors arranged an exhibition

რა თქმა უნდა ეს ყველაფერი არ არის... სილამაზის სალონმა „მელანჟმა" ქალბატონები დაასაჩუქრა ფასდაკლების ვაუჩერებით სხვადასხვა პროცედურულ მომსახურებაზე: 40%-იანი ფასდაკლება ლაზერულ პროცედურებზე, 50%-იანი ფასდაკლება სოლარიუმზე და 20%-იანი ფასდაკლება ყველა სხვა მომსახურებაზე; ხოლო საერთაშორისო ესთეტიკური მედიცინის ცენტრმა La Belle Medical-მა 25-ლარიანი ვაუჩერები გასცა ნებისმიერ მომსახურებაზე. ყველა ქალბატონი, რომელმაც ვაუჩერი მიიღო, ავტომატურად ჩაერთო გათამაშებაში. დღის ბოლოს ლოტოტრონის პრინციპით 2 გამარჯვებული გამოვლინდა, რომლებმაც დამატებითი საჩუქრები, 50-წუთიანი სოლარიუმის აბონემენტი, მიიღეს.

„თეგეტა მოტორსის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, დიანა ველენგურსკაია აღნიშნავს, რომ წლევანდელი ღონისძიება გასულ წლებთან შედარებით უფრო ხალხმრავალი და გამორჩეული იყო: „ძალიან ლამაზი დღე გამოვიდა. ყველაზე სასიამოვნო მომენტი















It turned out to be a beautiful event for all the ladies. Seeing them smile was the most pleasant part of the day.

for the jewelry company FREYWILLE and along the surprises mentioned above, created a wonderful atmosphere for the guests. Magazines EGO and EGO MEN were the media partners of the event.

ქალბატონების ღიმილიანი სახეების დანახვა იყო. როდესაც ღონისძიება დავაანონსეთ, ყველა ერთსა და იმავეს გვეკითხებოდა, საჩუქარს მართლა ყველა მიიღებსო? რა თქმა უნდა, სწორედ ასე მოხდა. წლევანდელ ღონისძიებაზე 500-მდე ქალბატონი გვეწვია, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა წელთან შედარებით მეტმა ქალბატონმა გამოთქვა ჩვენთან მოსვლის სურვილი".

გასულ წელს „თეგეტა მოტორსმა" „თბილისი მოლში" ფლეშმობი გამართა, სადაც სმოკინგებში გამოწყობილმა ბიჭებმა ქალბატონებს 8 მარტი ცეკვით მიულოცეს და აქციაზე მიიწვიეს, მის წინამორბედ ღონისძიებაზე კი ქალბატონებს „თეგეტა მოტორსმა" „პორშეთი" გასეირნება შესთავაზა.

წლევანდელი სარვამარტო დღესასწაულის ფარგლებში „თეგეტა მოტორსმა" საიუველირო კომპანია FREYWILLE-ს გამოფენა მოაწყო და ზემოთ აღნიშნულ სხვა მრავალ სიურპრიზთან ერთად სტუმრებს სასიამოვნო გარემო შეუქმნა. ღონისძიების მედიაპარტნიორები იყვნენ ჟურნალები - EGO და EGO MEN.

PHOTOS Tegeta Motors archive




# A pleasant car interior? Leave it to the SONAX cleaning staff!

With SONAX Car Interior Cleaner, Upholstery Foam, Leather Care Lotion, the plastic and wood restorers, and many more, the SONAX cleaning team brings cleanliness and freshness to your vehicle. If you wish to feel at home in your car, get the SONAX professionals to work!

SONAX®

www.sonax.com

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...

# Tegeta Motors GIFTED A MAZDA to the best trading partner of 2013!




## Tegeta Motors head office service center hosted the traditional event of awarding trading partners.

Within the frames of the event, successful partners of the year were revealed in different nominations. Tegeta Motors had an unexpected surprise for the Best Trade Partner of the year 2013 – a Mazda 3.

This award ceremony is held at Tegeta Motors annually. This time, up to

# 2013 წლის საუკეთესო სავაჭრო პარტნიორს „თეგეტა მოტორსმა“ საჩუქრად ავტომობილი მაზდა გადასცა!

**თეგეტა მოტორსის** სათაო ოფისის სერვისცენტრში სავაჭრო პარტნიორების დაჯილდოების ტრადიციული ღონისძიება მოეწყო.

ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა ნომინაციებში გამოვლინდნენ წლის წარმატებული სავაჭრო პარტნიორები. 2013 წლის საუკეთესო სავაჭრო პარტნიორს კი „თეგეტა მოტორსმა“ მოულოდნელი სიურპრიზი მოუმზადა - მას საჩუქრად გადაეცა ავტომობილი „მაზდა 3“.

აღნიშნული დაჯილდოების ცერემონიალი „თეგეტა მოტორსში“ ყოველწლიურად იმართება. ამჯერად კომპანიის 90-მდე სავაჭრო პარტნიორს გადაეცა სერტიფიკატები, ჯილდო, სოლიდური ფულადი პრემიის სახით და სხვა საჩუქრები.

დაჯილდოვდნენ „თეგეტა მოტორსის“ სავაჭრო პარტნიორები შემდეგ ნომინაციებში: 2013 წლის საუკეთესო

90 trading partners were awarded with certificates, solid financial bonuses and other gifts from the company.

Tegeta Motors' trading partners were awarded in the following categories: Best Trading Partner of 2013, Tegeta Motors' Official Dealer. There were also winners in different categories: Best Tire Sales, Best Automobile Oil Sales, Best Battery Sales etc.

The award ceremony is held at Tegeta Motors annually. This time, up to 90 trading partners were awarded with certificates, solid financial bonuses and other gifts from the company.

It should be noted that for the first time, this year Tegeta Motors is planning to grant several representatives of the trading network the Tegeta Motors Partner status, which implies that given that certain preconditions are met, these













As of today Tegeta Motors has up to 800 trade partners across the country and the company will be offering the dealers important novelties from 2014.

dealers will be offered special conditions for cooperation. The company announced the candidate dealers at the event.

This traditional event is aimed at developing the company's wholesale trade network further. As of today the company has up to 800 trade partners across the country. Tegeta Motors keeps taking care of further growth in loyalty of its trading partners and will be offering the dealers important novelties from 2014. Tegeta Motors will continue active cooperation with its trade partners so that they can expand their businesses and provide more job opportunities for the human resources market.

სავაჭრო პარტნიორი, „თეგეტა მოტორსის“ ოფიციალური დილერი. ასევე, გამოვლინდნენ გამარჯვებულები სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით: საბურავების საუკეთესო გაყიდვები, საავტომობილო ზეთების საუკეთესო გაყიდვები, აკუმულატორების საუკეთესო გაყიდვები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ კომპანია წელს პირველად გეგმავს, საბითუმო სავაჭრო ქსელის რამდენიმე წარმომადგენელს მიანიჭოს „თეგეტა მოტორსის პარტნიორის“ სტატუსი, რაც გარკვეული წინაპირობების შესრულების შემდეგ, თანამშრომლობის განსაკუთრებულ პირობებს გულისხმობს. ღონისძიებაზე კომპანიამ კანდიდატი დილერებიც დაასახელა.

ტრადიციული ღონისძიება მიმართულია „თეგეტა მოტორსის“ საბითუმო სავაჭრო ქსელის შემდგომი განვითარებისკენ. დღესდღეობით კომპანიას 800-მდე სავაჭრო პარტნიორი ჰყავს მთელი ქვეყნის მასშტაბით. „თეგეტა მოტორსი“ აგრძელებს ზრუნვას სავაჭრო პარტნიორების ლოიალობის შემდგომ ზრდაზე და 2014 წლიდან დილერებს მნიშვნელოვან სიახლეებს შესთავაზებს. მომავალშიც გაგრძელდება სავაჭრო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობა, რათა მათ შეძლონ ბიზნესის შემდგომი გაფართოვება და მეტი ადამიანის დასაქმება.

PHOTOS Tegeta Motors archive






☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
It`s Time To Choose Quality...

# Advice for SUMMER

With the coming of spring, changing winter tires with season appropriate ones becomes a topical issue. The chemical and technological composition of summer tires is radically different from the ones made particularly for winter. The outer cover – the so-called "protector" is also different.



It is not recommended to use winter tires in spring since – winter tires depreciate more intensively and rapidly in high summer temperature, breaking space increases, which could cause accidents, the possibility of maneuvering at high speeds is also reduced. It should also be taken into consideration that certain types of winter tires have restrictions on high speed and ignoring this fact could damage tires – and this is rather dangerous and risky especially when the car is on the road.

Changing tires timely and according to the season is very important.

Aquaplaning is one of the main functions of summer tires. In rainy weather there is a thin layer of water between tires and the road cover. With worn out (used) tires this layer of water becomes the reason for caution.

When the protector is at its minimal level, water does not flow out of the surface (aquaplaning) once the tire touches the asphalt. Weak aquaplaning becomes the reason for automobile accidents, since such cases increase the risk of car sliding.

The surface of a passenger car tire touching the asphalt is the approximate size of an envelope. It is such a surface that is the most important factor in the safe transportation of an automobile.

Remember that tires have a five-year storing and exploitation period! The date of manufacturing is marked on the side of tire. The four symbols at the end of DOT information is the date of production: the first two numbers is the week of production, and the last two numbers –the year of production.

Once the exploitation or storage time exceeds 5 years, corrosion processes start in the tire construction, decomposition of the rubber chemical composition causing the so-called cracks to occur. These

# რჩევები
# ზაფხულისთვის

გაზაფხულის დადგომასთან ერთად აქტუალური ხდება ზამთრის საბურავების შეცვლა სეზონის შესაბამისი საბურავებით. ზაფხულის საბურავების ქიმიური და ტექნოლოგიური შემადგენლობა რადიკალურად განსხვავდება ზამთრის საბურავების შემადგენლობისგან. ასევე განსხვავებულია საბურავის ნახატი - ე.წ. „პროტექტორი“.

ზამთრის საბურავით ზაფხულში გადაადგილება არ არის რეკომენდირებული რადგან - ზაფხულის მაღალ ტემპერატურაზე ხდება ზამთრის საბურავების ინტესიური და სწრაფი ცვეთა, იზრდება სამუხრუჭე მანძილი რამაც შეიძლება ავტოსაგზაო შემთხვევაც გამოიწვიოს, მცირდება, ასევე მაღალ სიჩქარეებზე მანევრირების საშუალება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გარკვეული ტიპის ზამთრის საბურავებს აქვს მაღალ სიჩქარეზე შეზღუდვები და მძღოლის მხრიდან ამ ფაქტის უგულვებელყოფამ შეიძლება საბურავის დაზიანება გამოიწვიოს, რაც ძალზედ სახიფათო და სარისკოა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავტომობილი გადაადგილდება.

ძალიან მნიშვნელოვანია საბურავის დროული და სეზონური შეცვლა.

ზაფხულის საბურავის ერთ-ერთი მთავარ ფუნქციას წარმოადგენს „აქვაპლანირება“. საბურავსა და გზის საფარს

გახსოვდეთ, რომ საბურავის შენახვისა და ექსპლუატაციის პერიოდი განისაზღვრება ხუთი წლით



cracks automatically damage the tire construction and tires become useless for further exploitation.

Always control tyre pressure! – Passenger cars have recommended pressure levels marked on the frame (on the driver's door or the tank cover).

The majority of population drives long distances in summer. For such travels the automobile must be checked and damaged parts must be replaced with high quality spare parts. One should apply to the automobile service center for these procedures.

The first thing to take into account in summer is whether the automobile is equipped with air conditioning and check its properl functioning. It should also be noted that using air conditioning on short distance travels is not healthy, although it is the only means of protecting oneself from heat on a long trip.

When it's very hot in summer, it is important that the radiator is clean form the outside, so that the engine doesn't overheat. Engine oil amounts should also be reduced considering the state of the engine.

It is important that we fill the windshield washer tank with special liquid that properly cleans the windshield from insects. In developed countries, the transparency and cleanness of the windshield is paid particular attention to.





შორის, წვიმიან ამინდში წარმოიშობა თხელი წყლის ფენა. გაცვეთილი (მეორადი) საბურავის შემთხვევაში სწორედ აღნიშნული წყლის ფენა წარმოადგენს საფრთხეს.

როდესაც საბურავის ნახაზის ჭრილები („პროტექტორი“) დასულია მინიმალურ ზღვრამდე, ამ დროს არ ხდება საბურავის ასფალტთან შეხების დროს ზედაპირიდან წყლის გამოდევნა (აქვაპლანირება). სუსტი აქვაპლანირება ხშირად ხდება ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი, რადგან ასეთ დროს იზრდება ავტომობილის მოცურების საფრთხე.

მსუბუქი ავტომობილის საბურავის ასფალტთან შეხების ზედაპირი დაახლოებით ერთი კონვერტის ფართობის ტოლია. შეხების სწორედ ასეთი ზედაპირი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს ავტომობილის უსაფრთხო გადაადგილებაში.

გახსოვდეთ, რომ საბურავის შენახვისა და ექსპლუატაციის პერიოდი განისაზღვრება ხუთი წლით! საბურავის წარმოების თარიღი დატანილია მის გვერდითა მხარეს. DOT ინფორმაციის ბოლოს ოთხი სიმბოლო აღნიშნავს საბურავის დამზადების თარიღს: პირველი ორი ციფრი წარმოების კვირას, ხოლო ბოლო ორი ციფრი - წარმოების წელს.

როდესაც საბურავის ექსპლუატაციის, ან შენახვის ხანგრძლოვობა აღემატება 5 წელს, საბურავის კონსტრუქციაში იწყება კოროზიული პროცესები, რეზინის ქიმიური შემადგენლობის რღვევა, ამის შედეგად საბურავში ჩნდება ე.წ. ბზარები , რაც ავტომატურად იწვევს საბურავის კონსტრუქციის დაზიანებას და საბურავი გამოუსადეგარი ხდება შემდგომი ექსპლუატაციისათვის.



## Don’t forget to take off your sunglasses upon entering a tunnel!

Tegeta Motors presents automobile care products by the premium brand SONAX. The German brand SONAX has an entire line of such products.

Don’t forget to take off your sunglasses upon entering a tunnel!

It is also very important that you don’t fill the gas tank up completely. That is quite dangerous since the temperature in the fuel repository is maximum 20 degrees, whereas the outside temperature can reach up to 40 degrees in summer and even more under the sun, which will cause the fuel to expand and overflow out of the air vent – fuel could end up leaking out of the car, endangering passenger safety.

We wish you a safe drive!

ყოველთვის აკონტროლეთ წნევა საბურავებში! - მსუბუქი ავტომობილის საბურავებში რეკომენდირებული წნევა დატანილია ავტომობილის ძარაზე (მძღოლის კარებზე ან ბენზინის ხუფზე).

ზაფხულში მოსახლეობის დიდი ნაწილი მგზავრობს შორ მანძილზე. ასეთი მგზავრობისას პირველ რიგში უნდა მოხდეს ავტომობილის შემოწმება და დაზიანებული ნაწილების შეცვლა მაღალი ხარისხის სათადარიგო ნაწილებით. რისთვისაც უნდა მივაკითხოთ ავტოტექმომსახურების ცენტრს.

პირველი, რაც უნდა გავითვალისწინოთ ზაფხულში, თუ ავტომობილი აღჭურვილია კონდიციონერით, შევამოწმოთ რამდენად გამართულად მუშაობს ის. აქვე, აღსანიშნავია, რომ მოკლე მანძილზე კონდიციონერის გამოყენება არა არის სასარგებლო ჯანმრთელობისთვის, თუმცა შორ გზაზე ის ერთადერთი საშუალებაა მაღალი ტემპერატურისგან თავის დასაცავად.

ზაფხულში, როდესაც ძალიან ცხელა, მნიშვნელოვანია, რომ რადიატორი გარედან იყოს სუფთა, რათა არ მოხდეს ძრავის გადახურება. ასევე, საჭიროა შევამციროთ ძრავის ზეთი ძრავის მდგომარეობიდან გამომდინარე.

ზაფხულში მნიშვნელოვანია საქარე მინის ავზში ჩავასხათ სპეციალური სითხე, რომელიც კარგად წმენდს მწერებისგან დასვრილ საქარე მინას. განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქარე მინის სისუფთავესა და გამჭვირვალეობას. „თეგეტა მოტორსში" წარმოდგენილია პრემიუმ ბრენდის SONAX-ის ავტომობიბილის მოვლის საშუალებები. გერმანულ კომპანია „სონაქსს" აღნიშნული პროდუქციის მთელი ხაზი აქვს შექმნილი.

არ დაგვავიწყდეს, მზის სათვალის მოხსნა გვირაბში შესვლის წინ!

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია რომ ზაფხულში არ შეიძლება ავზის საწვავით პირამდე ავსება. ეს საკმაოდ სახიფათოა, რადგან საწვავის საცავში ტემპერატურა არის მაქსიმუმ 20 გრადუსი, ხოლო ზაფხულში გარე ტემპერატურამ შეიძლება მიაღწიოს 40 გრადუსს და კიდევ უფრო მეტს მზეში, რაც გამოიწვევს საწვავის გაფართოებას და ავზის საჰაეროდან საწვავის გადმოდინებას, რომელიც შეიძლება მოხვდეს ავტომობილის გარეთ და საფრთხე შეუქმნას მგზავრების უსაფრთხოებას.

ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!



# WORLD'S DANGEROUS ROADS

# მსოფლიოს სახიფათო გზები

## NORTH YUNGAS ROAD

Bolivia

This path on the mountain slope is called the "Death Road". Accidents happen here often. This road doesn't look so dangerous for pedestrians at first sight. It is 61-69 kilometers long. In 1995 the Inter-American Development Bank named it the most dangerous road. Two to three hundred passengers die here annually.

## ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲘᲣᲜᲒᲐᲡᲘᲡ ᲒᲖᲐ

ბოლივია

„სიკვდილის გზა“ ასე უწოდებენ ბილიკს მთის ფერდობზე. აქ ხშირია ავარიები და უბედური შემთხვევები. ერთი შეხედვით, ფეხით მოსიარულეთათვის გზა არც ისე საშიში ჩანს. მისი სიგრძნე 61-69 კილომეტრია. 1995 წელს Inter-American Development Bank-ის მიერ ეს გზა „მოინათლა“, როგორც ყველაზე საშიში. აქ ყოველწლიურად 200-300 მგზავრი კვდება.









## COMMONWEALTH AVENUE
Philippines

This "Killer Highway" is located in the Philippines. There are many pedestrian crossings on the highway, thus the number of victims is also high. All of that happens due to irregular traffic. The highway is 12 km long and was built in the 1960's.

## ქომონველსის გამზირი, ფილიპინები

„მკვლელი გზატკეცილი" ფილიპინებში მდებარეობს. გზატკეცილზე უამრავი გადასასვლელია ქვეითთათვის. შესაბამისად, მსხვერპლიც დიდია. ეს ყველაფერი კი, მოუწესრიგებელი საგზაო მოძრაობის გამო ხდება. გზატკეცილის სიგრძე 12 კილომეტრია და ის 1960-იან წლებში აიგო.




## THE JAMES DALTON HIGHWAY, Alaska

This road was built in the 70's of the past century and is 666 kilometers long. It looks peaceful from far away and creates a wonderful landscape. Those who have passed it, say that it's not so safe. There's constant wind and flying rocks on the route. The highway is intended for trucks and heavy machinery. Light automobiles and motorcycles often get into accidents here. The closest med. point is far away, so if you have to take this highway, carry a first aid kit with you.

## ჯეიმს დალტონის გზატკეცილი, ალიასკა

ამ გზის სიგრძე 666 კილომეტრია და გასული საუკუნის 70-იან წლებში აშენდა. შორიდან წყნარი ჩანს და საოცრად ლამაზ პეიზაჟს ქმნის. ისინი კი, ვისაც აქ გაუვლია, ყვებიან, რომ არცთუ ისე უხიფათოა. მუდმივი ქარი და მფრინავი ქვები მგზავრობის შემადგენელი ნაწილია. გზატკეცილის გამოყენება მხოლოდ სატვირთო და მძიმე ტექნიკისთვისაა სასურველი. ხშირია მსუბუქი ავტომობილებისა და მოტოციკლების ავარიები. უახლოესი მედ. პუნქტი კი შორსაა. ამიტომ, რჩევა: თან იქონიეთ მინი აფთიაქი.











## BR-116, Brazil

The second longest highway in Brazil is called the "Highway of Death". The reason for that is the poor road cover. It is 4385 kilometers long and is used by many people because of its strategic importance. Another "attraction" of the "Highway of Death" is the frequent attacks of bandits. Every year, thousands of people die on BR-116.

## ბრ-116, ბრაზილია

სიგრძით მეორე გზატკეცილი ბრაზილიაში „სიკვდილის გზად" არის შერაცხული. მიზეზი გზის ცუდი საფარია. მისი სიგრძე 4385 კილომეტრია. სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, მას უამრავი ადამიანი იყენებს. „სიკვდილის გზის" კიდევ ერთი „ღირსშესანიშნაობა" ბანდიტების ხშირი თავდასხმაა. ყოველ წელს BR-116-ზე ათასობით ადამიანი იღუპება.

## GUOLIANG TUNNEL ROAD, China

The tunnel was carved in the mountain in 1972. It connects village Guoliang with the rest of the world. A villager had the idea of carving it. 13 people carved the tunnel that is 1.5 kilometers long, 5 meters high and 4 meters wide. It took 5 years to build the road. This rock-cut tunnel is dangerous due to its location.



## გუოლიანგის გვირაბი, ჩინეთი

ეს გვირაბი მთაში 1972 წელს გამოკვეთეს. ის სოფელ გუოლიანგს გარე სამყაროსთან აკავშირებს. მისი გამოკვეთის იდეა სოფლის მაცხოვრებელს მოუვიდა. 1.5 კილომეტრის სიგრძის, 5 მეტრის სიმაღლისა და 4 მეტრის სიგანის გვირაბს 13 ადამიანი კვეთდა. გზის გაყვანას 5 წელი დასჭირდა. კლდეში გამოკვეთილი გვირაბი საშიში ადგილმდებარეობის გამოა.

## TRANS-SIBERIAN HIGHWAY, Russia

This road that is mostly unpaved is one of the longest and most dangerous in the world. Going through the woods, mountains and deserts from Vladivostok to Petersburg is not very safe. Especially, since there are many challenges on the way – be it due to bad weather or lack of road surface.

## ტრანსციმბირული გზატკეცილი, რუსეთი

გზა, რომელიც, უმეტესწილად, საფარის გარეშეა, ერთ-ერთი ყველაზე გრძელი და საშიშია მსოფლიოში. ვლადივასტოკიდან პეტერბურგამდე ტყის, მთებისა და უდაბნოს გავლა არცთუ ისე უხიფათოა. თანაც მაშინ, როცა გზად ბევრი დაბრკოლება გხვდება – თუნდაც, უამინდობისა და გზის საფარის არასებობის გამო.













## PAN-AMERICAN HIGHWAY

### Alaska to Argentina

You must cover 30.000 miles in order to travel from Alaska to Argentina. It's hard to imagine how many dangers a person can face going from one continent to another. Especially, if there are jungles, mountains and deserts on the way. It's both, a great challenge and temptation!




















# პანამერიკული გზატკეცილი

## ალასკიდან არგენტინისაკენ

იმისთვის, რომ ალასკადან არგენტინაში წახვიდეთ, 30 000 მილი უნდა გაიაროთ. წარმოსადგენად რთულია, რამდენ ხიფათს შეიძლება გადაეყაროს ადამიანი, როცა ერთი კონტინენტიდან მეორეზე გადადის. თანაც, გზად თუ ჯუნგლების, მთების, უდაბნოების გავლა უწევს. ცდუნებაც და გამოწვევაც დიდია!



## STELVIO PASS ROAD

### Italy

This 2.7 kilometer road does not look too dangerous. It even resembles a Formula 1 track at first sight: it is narrow, with many turns. The road goes through the Alps. Constant wind is a great obstacle and conundrum for drivers. Stelvio Pass Road was built in the nineteenth century. According to one of the internet-resources, it is of the exact same construction it was 2 centuries ago.

## სტელვიოს გასასვლელი

### იტალია

2.7 კილომეტრიანი გზა არც ისე სახიფათო ჩანს. ერთი შეხედვით, ფორმულა 1-ის სარბოლო გზასაც მოგაგონებთ: ვიწრო, უამრავი მოსახვევით. გზა ალპებში გადის. მუდმივი ქარი კი მძღოლებისთვის დიდი დაბრკოლება და თავსატეხია. სტელვიოს გასასვლელი მეცხრამეტე საუკუნეში აშენდა. თუკი ერთ-ერთ ინტერნეტწყაროს დავუჯერებთ, ის დღესაც ისეთივე კონსტრუქციისაა, როგორიც 2 საუკუნის წინ იყო.










## SKIPPERS CANYON ROAD

### New Zealand

This narrow and windy road is just the same it was in the nineteenth century when the Gold rush brought the adventure-seekers here. The road that used to be traveled with horses and carriages is just as dangerous now as it was back then. Today you require a special permit to travel this route; however, it's doubtful that whoever gives them out will be able to tell you how to let the automobile coming from the opposite direction pass.

---

## სკიპერს კანიონის გზა

### ახალი ზელანდია

ეს ვიწრო და ქარიანი გზა სწორედ ისეთია, როგორიც მეცხრამეტე საუკუნეში იყო, როცა ოქროს ციებ-ცხელებამ თავგადასავლების მოყვარულები აქ მოიყვანა. გზა, რომელზეც თავდაპირველად ცხენებით და ეტლებით დადიოდნენ, ისევ ისეთივე საშიშია, როგორიც მაშინ. დღესდღეობით, მასზე გასავლელად სპეციალური ნებართვაა საჭირო. თუმცა, ძნელია, ვინმემ გითხრათ, როგორ უნდა დაუთმოთ გზა შემხვედრ ავტომობილს.











## SICHUAN-TIBET HIGHWAY

### China

They call this 5 476 kilometer-long highway the “Friendship Highway”. It is on the border between China and Nepal. The road “counts” up to 100 000 victims, among them, 7 500 drivers died of fear. Constant bad weather, crawling stones and other uncomfortable givens greatly support the high death rates on this road.

## სიჩუან-ტიბეტის გზატკეცილი

### ჩინეთი

5 476 კილომეტრის გზატკეცილს „მეგობრობის გზასაც“ უწოდებენ. ის ჩინეთისა და ნეპალის საზღვარზე მდებარეობს. გზის „ანგარიშზე“ 100 000-მდე მსხვერპლია. მათ შორის, 7 500 მძღოლის სიკვდილის მიზეზი შიშია. მუდმივი უამინდობა, მცოცავი ქვები და სხვა დაბრკოლებები სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებელს უწყობს ხელს.






ventus S1 evo²
ventus V12 evo²



HANKOOK
driving emotion

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
It`s Time To Choose Quality...

# Happy **TRAVELS...**

Are we there yet? How much longer? Where are we? How many more hours? – these are the questions children ask at record amounts while traveling. Whoever has traveled long distances with little kids will know what a difficult and responsible job it is...



## ბედნიერი **მგზავრობა...**

როდის მივალთ? ბევრი დაგვრჩა? სად ვართ? რამდენ საათში ჩავალთ? – ეს ის კითხვებია, რომლებსაც რეკორდული რაოდენობით სვამენ ბავშვები მგზავრობის დროს. ვისაც ერთხელ მაინც უმოგზაურია შორ მანძილზე მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, კარგად ეცოდინება, რა რთული და საპასუხისმგებლო საქმეა ეს...

სტატიაში გვინდა სწორედ იმ კეთილგონივრულ რჩევებს მოვუყაროთ თავი, რომლებიც აუცილებლად გამოგადგებათ ამ მისიის წარმატებით შესასრულებლად  და სტრატეგიულად სწორი მოგზაურობის დასაგეგმად.

ერთად თავმოყრილი სასარგებლო ინფორმაცია სავალდებულო საკითხავია ყველასთვის, ვისაც შვებულების



In this article we want to gather all the reasonable advice that will help you successfully complete this mission and strategically plan a trip right.

Useful information taken together is a must-read for everyone planning to temporarily switch their residence during holidays with a relatively unsuccessful experience of traveling with children.

გასატარებლად საცხოვრებელი ადგილის დროებით შეცვლა განუზრახავს და ბავშვებთან ერთად მგზავრობის არცთუ წარმატებული გამოცდილება აქვს.

ბავშვებიანი ოჯახებისთვის სამგზავრო სამზადისი ნამდვილი გამოცდაა.

მგზავრობის დროის და ბავშების ასაკის შესაბამისად მთელი გეგმის ჩამოყალიბებაა საჭირო. შეეცადეთ, წინასწარ განსაზღვროთ პასუხები შემდეგ კითხვებზე: რას შეჭამენ ბავშვები მგზავრობის დროს? რით შეიქცევენ თავს? თუ მგზავრობა ხანგრძლივია – სად და როგორ მოისვენებენ? როგორ მოგვარდება ჰიგიენური საჭიროებები? პასუხები ამ შეკითხვებზე თითოეული ოჯახისთვის განსხვავებული



Travel preparations are a real test for families with children.

Everything needs to be planned taking traveling time and children's age into account. Try to pre-define answers to the following questions: What will the kids eat during the travels? What will be keeping them busy? If it is a long journey – where and how will they rest? How will the hygienic issues be solved? Answers to these questions will be different and individual for every family. However, thinking in advance will benefit them all.

Here is general advice to help you make decisions.



და ინდივიდუალური იქნება.  თუმცა, საკითხზე წინასწარ დაფიქრება არავის აწყენს. აქ კი გთავაზობთ ზოგად რჩევებს, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ.

## საკუთარი ბარგი

გამგზავრებამდე იზრუნეთ იმაზე, რომ ბავშვმა თავად ჩააწყოს საკუთარი ნივთების გარკვეული ნაწილი მაინც – საყვარელი სათამაშოები, წიგნები, ტანსაცმელი, სასუსნავი, გასართობი... ასე პატარა თავიდანვე შეეჩვევა პასუხისმგებლობას და საკუთარი ნივთების მოვლასაც ისწავლის. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ ეს საქმიანობა „ძალიან ეხმარება უფროსებს“, რომლებსაც ისედაც უამრავი საქმე აქვთ მოსაგვარებელი.

## ქოთანი გზაში

ხუთ წლამდე ასაკის ბავშვს არ შეუძლია საზოგადოებრივი ტუალეტით ისარგებლოს, ეს არც არის სასურველი. ამიტომ ხანგრძლივი მგზავრობის დროს გაითვალისწინეთ ეს ნიუანსი

> შეეცადეთ, წინასწარ მოიფიქროთ, რა გასართობს შესთავაზებთ თქვენს პატარა მოგზაურს – აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ბავშვის ასაკიც

და თან გაიყოლეთ ქოთანი. პატარა ხრიკი: იმისთვის, რომ გამოვლება და ქოთნის გასუფთავება პრობლემად არ იქცეს, შემოახვიეთ მას პოლიეთილენის პარკი (ისე, როგორც ნაგვის ყუთებს). პატარას, რომელიც სახლში, შესაძლოა, გადაეჩვია ამ „ალუებისთვის განკუთვნილ ნივთს“ თავიდანვე შეუთანხმეთ, რომ ცოტა ხნით მისი გამოყენება კიდევ მოუწევს.

## ჰიგიენა

აუცილებლად მოიმარაგეთ სველი და მშრალი ხელსახოცები. ეს ერთჯერადი ჰიგიენური საშუალებები შეუცვლელია მგზავრობის დროს სისუფთავის და სიჯანსაღის შესანარჩუნებლად.  შერჩევისას ყურადღება მიაქციეთ სველი ხელსახოცების შემცველობას – ზოგიერთი მათგანი ბავშვებისთვის არ არის განკუთვნილი, ან მაკიაჟის მოსაშორებელი ლოსიონითაა გაჯერებული, ან სხვადასხვა პარფიუმერული ნაერთით. ბავშვებისთვის შეიძინეთ pH 5.5 მაჩვენებლიანი სველი ხელსახოცები, რომელიც კანის ნაზ და სათუთ ზედაპირს არ აზიანებს.

## PERSONAL LUGGAGE
Before leaving, make sure the child packs at least a part of their luggage – favorite toys, books, clothes, snacks, fun items... This way children get used to responsibility from the beginning and will learn to mind their belongings as well. It is also important to emphasize that this "helps the grown-ups a lot", especially since they have so much to take care of.

## POT ON THE ROAD
Children under 5 years cannot use public bathrooms and it's not very recommended, either. So keep this nuance in mind and take a pot with you on long journeys. A little trick: wrap it in a plastic bag (like you do with dustbins) so that you don't have to wash and clean it after use. Make arrangements with the child ahead, that even though they have dropped using this "childish item", they will have to use it again for a short period.

## HYGIENE
Supply wet and dry napkins. These single-use hygienic means are irreplaceable for keeping cleanness throughout the trip. Once selecting the product, pay attention to the content – some wet napkins are not meant for kids, or are full of make-up removal lotions, or different perfumery compounds. Buy the pH 5.5 wet napkins – they don't damage the soft and delicate surface of the skin.

## FOOD
If the baby is breast-fed, the only thing the parent should keep in mind is to stay away from the products that could cause an allergic reaction or a gastro-intestinal irritation. If the child is on artificial baby food, pre-define the amounts of feeding and the volume of a bottle you will need; supply boiling water in a thermos. Special package high quality food products (fruit and vegetable purees, juices, cookies, sweets...) will also come in handy.

If the baby is old enough and eats normally, here is what you should keep in mind: Wrap the home-cooked meals

## საკვები
თუ ბავშვი ბუნებრივ კვებაზეა, მშობლის ერთადერთი საზრუნავი იმ პროდუქტებისგან თავშეკავებაა, რამაც შეიძლება ალერგიული რეაქცია ან კუჭ-ნაწლავის გაღიზიანება გამოიწვიოს. თუ ბავშვი ხელოვნურ საკვებზე გყავთ, წინასწარ განსაზღვრეთ კვების რაოდენობა და შესაბამისი რაოდენობის ბოთლი; თერმოსით მდუღარე წყალი მოიმარაგეთ. ასევე გამოგადგებათ მაღალი ხარისხის საკვები პროდუქტი სპეციალურ შეფუთვებში (ხილის და ბოსტნეული პიურეები, წვენები, ორცხობილები, ტკბილეული...)

თუ ბავშვი მოზრდილია და ჩვეულებრივად იკვებება, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები: სახლში წინასწარ მომზადებული საკვები (შემწვარი ქათამი, მოხარშული კვერცხი, კარტოფილი, ღვეზელები...) აუცილებლად



გაახვიეთ ფოლგაში, ან ქაღალდში. დაუშვებელია მალფუჭებადი პროდუქტის შენახვა პლასტიკატის ან პოლიეთილენის შესაფუთ მასალაში. შეეცადეთ, ასეთი პროდუქტი გახარჯოთ მგზავრობის პირველსავე საათებში, გზაში კი ის პროდუქცია შეიძინეთ, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე სწრაფად არ გაფუჭდება. ცხელ დღეებში მგზავრობის დროს მოარიდეთ ბავშვი რძის პროდუქტებს და მისთვის უცხო უმ ხილსა თუ ბოსტნეულს. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მგზავრობის დროს არ არის რეკომენდებული ბავშვის გადატვირთვა საკვებით.

## სამგზავრო აფთიაქი
ტრანსპორტირებისას წინასწარ იზრუნეთ იმაზე, რომ ნებისმიერ დროს თქვენთვის ხელმისაწვდომი იყოს „საგზაო აფთიაქი“. ინდივიდუალური საჭიროებების გარდა, საგზაო აფთიაქში აუცილებლად უნდა იდოს:



The resort Sairme is equally comfortable for grownups as well as children. There's an entertainment center with tennis tables, billiards, a trampoline and computer games. For those who enjoy nightlife there's a restaurant called Opera with a terrace where there are parties, karaoke, movie nights and other entertainment events at night.



(fried chicken, boiled eggs, potatoes, pies…) in tinfoil or paper. Perishable products are not to be stored in plastic wrapping materials. Try to use such products up in the first hours of the journey and buy the kind of food that doesn't spoil at room temperature on the road. Traveling on hot days, keep the children away from dairy and the raw fruits and vegetables they are not used to. It is also to be noted that it is not recommended to overload children with food during the ride.

## TRAVELER'S FIRST AID KIT

Before transportation, make sure that a traveler's first aid kid is at your hand at any point in time. Other than items of individual need the first aid kit must include: bandages, patches, cotton, disinfection liquids (hydrogen peroxide, spirit, iodine, diamond green…) antibiotics, antipyretics, activated charcoal, painkillers, thermometer, burn ointment, antihistamine. Also, keep in mind that, children under 3 years are by no means to stay under direct sunlight. This could distort normal melanin production. Children must be protected from direct radiation with natural clothing and special window drawers.

## CULTURAL-EDUCATIONAL AND ENTERTAINING PROGRAM

Are we there yet? When will we get there? How much longer? – Children never get tired asking these questions. Try to think ahead, what kind of entertainment you can offer your little travel companion – mind the child's age, of course.

Here we share ideas by some of our respondents who often get to travel with children:

## I SPY WITH MY LITTLE EYE

"I often travel with my children by car and by train. We have an irreplaceable game we all enjoy very much. We call it – "I spy with my little eye". One of the participants thinks of a word from the items they can see. It could be a part of the scenery (mountain, tree, grass, sign, antenna,

ბინტი, ლეიკოპლასტირი, ბამბა, სადეზინფექციო საშუალებები (წყალბადის ზეჟანგი, სპირტი, იოდი, ბრილიანტის მწვანე…), ანტიბიოტიკი, სიცხის დამწევი საშუალება, ნახშირის ფირფიტები, ტკივილგამაყუჩებელი, თერმომეტრი, დამწვრობის მალამო, ანტიჰისტამინი. ასევე გაითვალისწინეთ, რომ 3 წლამდე ასაკის ბავშვის პირდაპირი მზის სხივების ქვეშ ყოფნა დაუშვებელია. ამან მცირე ასაკში ორგანიზმში მელანინის პიგმენტის ნორმალური ფუნქციონირების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს. აუცილებელია, მგზავრობის დროს ბავშვის დაცვა პირდაპირი დასხივებისგან ნატურალური ტანსაცმლით და სპეციალური ჩამოსაფარებლებით ფანჯრებზე.

## კულტურულ-შემეცნებითი და გასართობი პროგრამა

როდის მივალთ? უკვე მივედით? რამდენი დაგვრჩა? – ამ შეკითხვების დასმა, როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვებს არ ჰბეზრდებათ. შეეცადეთ, წინასწარ მოიფიქროთ, რა



გასართობს შესთავაზებთ თქვენს პატარა მოგზაურს – აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია ბავშვის ასაკიც.

გიზიარებთ იმ რამდენიმე რესპონდენტის  იდეას, ვისაც ხშირად უწევს ბავშვებთან ერთად მოგზაურობა:

## თქვი, რას ხედავ

„შვილებთან ერთად მატარებლითაც ხშირად ვმგზავრობ და ავტომობილითაც. გვაქვს შეუცვლელი თამაში, რომელიც ყველას ძალიან მოგვწონს. თამაშს ასე დავარქვით – „თქვი, რას ხედავ". ერთ-ერთი მონაწილე ჩაიფიქრებს სიტყვას იმ საგნებისა და ნივთებისგან, რასაც ირგვლივ ხედავს. ეს შეიძლება იყოს პეიზაჟის ნაწილიც (მთა, ხე, ბალახი, აბრა, ანძა, ღრუბელი) და ტრანსპორტში არსებული ნივთიც.

cloud) or an item in the transport. The must-have condition is that everyone is able to see the item. The leader names the first letter and everyone else names words that start with this letter, until they name the word that has been thought of. Then the one to guess it right has the right to think of a new word. This game will definitely cheer your journey up for quite a long time."

## DRAWINGS AND STICKERS

"Before traveling with my child I always buy a drawing notebook, colorful pencils and stickers. We draw our impressions of the journey, decorate them with stickers and make up stories. If you let you kid add stickers to the automobile salons,



clothes of other passengers (if you know them, of course), body and windows, in short – everywhere within their reach – I assure you, you will be on a good mood for quite a while. Collecting these stickers is another stage of entertainment. I also print out coloring materials from the internet – according to my child's interests. We never travel without them".

## A PROFITABLE DEAL

"Whenever we travel by car, children always bother me with the same

აუცილებელი პირობაა, რომ ჩაფიქრებული ნივთი იყოს თვალთახედვის არეალში. წამყვანი ასახელებს პირველ ასოს და დანარჩენები იწყებენ ამ ასოზე დაწყებული სიტყვების ჩამოთვლას, მანამ, სანამ სწორ სიტყვას დაასახელებენ. შემდეგ წამყვანი ის ხდება, ვინც ამ სიტყვას სწორად ამოიცნობს. ეს თამაში გარანტირებულად გაახალისებს თქვენს მგზავრობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში".

## ვხატავთ და ვაწებებთ

„შვილთან ერთად მგზავრობის დროს, აუცილებლად, წინასწარ ვყიდულობ სახატავ რვეულს, ფერად ფანქრებს და სტიკერებს. რვეულში მგზავრობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს ვხატავთ, სტიკერებით ვაფორმებთ და ამბებს ვიგონებთ. თუ ბავშვს უფლებას დართავს სტიკერები მიაწებოს ავტომობილის სალონში, მგზავრების ტანსაცმელზე (ოღონდ თუ ტრანსპორტში თქვენი ნაცნობები არიან, ცხადია), სხეულზე, ფანჯრებზე, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც ხელი მიუწვდება – მერწმუნეთ, მხიარული განწყობა დიდი ხნით გექნებათ გარანტირებული. მერე ამ სტიკერების შეგროვებაც ცალკე გასართობია. ინტერნეტიდან ვბეჭდავ ასევე, გასაფერადებლებსაც – შვილის ინტერესების მიხედვით. ამის გარეშე არასდროს ვმგზავრობთ".

გაითვალისწინეთ, რომ 3 წლამდე ასაკის ბავშვის პირდაპირი მზის სხივების ქვეშ ყოფნა დაუშვებელია

## სარფიანი გარიგება

„როცა ავტომობილით ვმგზვრობთ, ბავშვები ხშირად მაწუხებენ ერთი და იგივე შეკითხვით – მალე მივალთ? ერთ დღესაც, ასეთი რამ მოვიფიქრე. ორივეს მივეცი გარკვეული თანხა და თან გავაფრთხილე – როგორც კი ჩავალთ, ამ ფულით რასაც მოისურვებთ, იმას იყიდით-მეთქი. ოღონდ, ერთი პირობა უნდა შეესრულებინათ: თუკი რომელიმე დასვამდა შეკითხვას – როდის მივალთ, საწყის თანხას გარკვეული საჯარიმო თანხა ეჭრებოდა. მერწმუნეთ, მეორე მგზავრობაზევე ორივემ სრულად ჩაიტანა დანიშნულების ადგილზე თავიდან მიცემული თანხა".

## წვრილმანები

აუცილებლად შეიძინეთ პატარ-პატარა, ახალი და უცხო სათამაშოები, რომლებსაც ერთ ტომარაში მოათავსებთ და მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების დროს გამოაჩენთ (როცა უკვე შეატყობთ, რომ კარგად ქცევის რესურსი პატარა მოგზაურს ამოწურული აქვს).

question – Are we there yet? So I thought of this one day – I gave them a particular amount of money and told them they could buy anything they wanted with this money once we got to the point of our destination. However, there was a condition they had to meet: if they would ask – are we there yet? - a penalty was drawn from the initial amount. From the second trip on, they both had all of their money once we got there."

## KNICK-KNACKS

Buy some new, small and unusual toys you can put in a bag and show only in special cases (when you notice that the little companion is almost out of resources for good behavior).

## A STORY WITH A CONTINUATION

Agree on the rules of the game, think of a short story and tell the participants the beginning. The next player is to think of the continuation, then the other one etc. I suggest you record the story on tape – you will love to rehear the story you made up, years later.

## SOUNDTRACK FOR THE TRAVEL

Mind the music – if you're travelling by car, make up a playlist with the help of the kids and take it with you; if you're taking other means of transportation, a player or some other media-gadget will be of use.

It is important that you don't forget about acclimatization when planning and arranging the travels. Radical changes in the living environment cause the body to "readjust" and get used to new conditions. Acclimatization can cause loss of appetite, headache, distortion in the proper gastro-intestinal functioning, sleep disorders, anxiety, increased sensitivity to infections, sweating, accelerated pulse etc. Specialists assign treatment based on such symptoms, and parents should be informed ahead about the possible risks.

The only thing left for us to do is wish you a happy and careless holiday!

## ამბავი გაგრძელებებით

შეათანხმეთ წინასწარ თამაშის წესი, თავად მოიფიქრეთ პატარა ამბავი და თამაშის მონაწილეებს მისი დასაწყისი მოუყევით. სხვა მოთამაშე ამბის გაგრძელებას მოიგონებს, შემდეგ თამაშში მესამე ჩაერთვება და ასე შემდეგ. გირჩევთ ეს თამაში ვიდეოკამერით ან დიქტოფონით ჩაიწეროთ - წლების შემდეგ ნამდვილად სიამოვნებით „გადაიმეორებთ" თქვენ მიერ შეთხზულ სახალისო ამბავს და ბევრსაც იხალისებთ.

## მგზავრობის საუნდტრეკი

იზრუნეთ მუსიკალურ გაფორმებაზეც – ავტომობილის შემთხვევაში, ბავშვების დახმარებით შეადგინეთ სამგზავრო სიმღერების პლეილისტი და თან წაიღეთ, სხვა სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისას კი ფლეიერი ან სხვა მედიასაშუალება გამოგადგებათ.



მგზავრობის დაგეგმვისა და ორგანიზების დროს მნიშვნელოვანია, არ დაგავიწყდეთ აკლიმატიზაციის ფაქტორიც.

საარსებო გარემოს რადიკალური ცვლა ორგანიზმის „გადაწყობას" და ახალ საარსებო პირობებთან შეგუებას იწვევს. აკლიმატიზაციის გამოვლინებებია მადის დაკარგვა, თავის ტკივილი, კუჭ-ნაწლავის ნორმალური მოქმედების დარღვევა, ძილის რეჟიმის არევა, მოთენთილობა, ინფექციური დაავადებებისადმი მომატებული მგრძნობელობა, ოფლიანობა, პულსის აჩქარება და ა.შ. ამგვარი სიმპტომების შენიშვნისას მკურნალობას სპეციალისტი სიმპტომურად ნიშნავს, მშობლები კი წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებული შესაძლო რისკის შესახებ.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ბედნიერი და უპრობლემო დასვენება გისურვოთ!

PHOTOS Tegeta Motors archive




MICHELIN
Total Performance

Michelin premium class tires secure safety for you and your family.

New era of safety starts with Michelin Primacy -3 for those who prioritize confidence in driving in any kind of weather.

- Much less braking distance on dry and wet surface
- Best grip in turns on the wet surface

MICHELIN

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY
It`s Time To Choose Quality...

# Necessary items for CAMPING



Picnic and camping are not mostly associated with comfort. How can one live in the woods and feel good in a house made of cloth? Sleep tight in a sleeping bag? Wash your face with spring water and then have a tasty breakfast? But there are people who carry a single bag around all winter and summer-long and feel wonderful. It's not enough to love nature and wandering. The list of necessary items is not as long as you may think it is.

A tent, a sleeping bag and a sleeping pad – are must-haves for any camping journey. Having a tent means you sleep where the ground is flat, a waterproof tent (and that's a definite requirement) means you won't get wet. A tent is to be selected depending on the number of campers and its weight differs accordingly.

The fact that you will come across a variety of different tents might be confusing. There's a tent for sunny weather, for windy times and rain, for summer or particularly for winter. What matters is that it's easy to set up, compact and lightweight.

## ლაშქრობისათვის საჭირო ნივთები

**ბევრისთვის** პიკნიკი და ლაშქრობა კომფორტთან და დასვენებასთან არ ასოცირდება. როგორ შეიძლება, ტყეში იცხოვრო და თან თავი კარგად იგრძნო ნაჭრის სახლში? გეძინოს საძილე ტომარაში, თანაც ტკბილად? ხელ-პირი წყაროს წყლით დაიბანო და გემრიელად ისაუზმო? მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ ერთი ზურგჩანთის ამარა დაიარებიან და თავს კარგადაც გრძნობენ. მარტო ბუნებისა და ხეტიალის სიყვარული არ კმარა. საჭირო ნივთების სია არც ისე გრძელია.

კარავი, საძილე ტომარა და მყარი საფენი ტომრის ქვეშ – ეს ის აუცილებელი ნივთებია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ლაშქრობა. გაქვს კარავი, ნიშნავს, რომ იძინებ იქ, სადაც სწორი ნიადაგია, წყალგამძლე კარავი (და

Sleeping bags differ visually, as well as with purpose. They come in triangle and rectangle shapes, for one or two people and many other modifications. Upon selection the temperature at the camping spot is a must to take into account. As a rule, thermoinsulation must be 20 degrees less than expected. The bag shouldn't be too wide or too narrow. Its weight is also to be kept in mind.

A backpack is the main attribute for camping. Just like the sleeping bag, it comes in different sizes and fits different purposes. Experienced campers usually pick framed backpacks. The capacity is selected based on the weight of the owner. The bag should have additional locks at the arms and waist. Shoulder-width is another criterion to pay attention to when it comes to choosing bags.

GPS – is the absolutely necessary item you need to take with you. Global positioning systems enable you to find the safest places everywhere, on earth and close to it! - in any weather, and during any time of the day. Unless you have planned to go camping somewhere near the Earth, and are going to follow the paths you know, a simple compass will be quite enough as well.

Campers don't die of hunger, of course. Along with food supplies, you must also carry special dishes – light and fireproof. You can make fire in the woods, but you could also carry dry spirits or a small gas tank with you, just in case. Your cup should be light, and made of fireproof metal.

Other necessary items that will come in handy while camping are: a map, a compass, signal lights, flashlight, head flashlight, a sharp knife for food, preferably a small foldable knife, or a multi-functional pocket knife.

First aid kit: medicine you always need, bandages, cotton and antiseptics, anti-insect lotions, anti-allergy pills, painkillers, scissors, tweezers, needle and thread, adhesive bandages first-aid booklet etc.

Keep in mind and don't forget items of personal hygiene either: deodorant,




ეს, აუცილებელი პირობაა) ნიშნავს იმას, რომ არ სველდები. კარვის შერჩევა ხდება მოლაშქრეთა რაოდენობის მიხედვით. ერთ, ორ, სამ და ოთხ ადგილიანი კარვის სიმძიმე, რა თქმა უნდა, განსხვავდება.

შეიძლება დაიბნეთ, რადგან კარვის არჩევისას მის მრავალ სახეობას წააწყდებით. კარავი მზიანი დღისთვის, წვიმიანი და ქარიანი ამინდისთვის, საზაფხულო ან სპეციალურად, ზამთრისთვის. მთავარია, ადვილად იშლებოდეს, იყოს კომპაქტური და მსუბუქი.

საძილე ტომარა სხვადასხვანაირია, როგორც ვიზუალურად, ისე დანიშნულებით. სამკუთხა, მართკუთხედი, ორადგილიანი








soap, toothpaste and brush, for long-term camping – shampoo, different lotions – UV protection, sunglasses and UV protection lipstick.

Also, carry a rope you can use in different ways. Several plastic bags to keep your belongings dry in rain. You must also have a raincoat and special waterproof heating covers on you; the ones that are light and easy to carry. They can recover 80% of body temperature.

The list turned out to be quite long and packing the backpack is a true ritual, so be attentive. Have a pleasant camping experience!



და ა.შ. მისი შერჩევისას, აუცილებლად ითვალისწინებენ დასალაშქრი ადგილის ტემპერატურას. როგორც წესი, ტომრის თბოიზოლაცია მოსალოდნელზე 20 გრადუსით დაბალი უნდა იყოს. ტომარა არ უნდა იყოს ძალიან ფართო, არც ძალიან ვიწრო. გასათვალისწინებელია მისი წონაც.

ლაშქრობის მთავარი ატრიბუტი ზურგჩანთაა. ისიც, საძილე ტომრის მსგავსად, სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების შეიძლება იყოს. როგორც წესი, გამოცდილი მოლაშქრეები არჩევენ მყარზურგიან, ე.წ. „ჩარჩოიან" ზურგჩანთას. ჩანთის ტევადობის შერჩევა ხდება მისი მფლობელის წონის გათვალისწინებით. მკლავებთან და წელთან დამატებითი საკეტით უნდა იკეტებოდეს. არჩევენ მხრების სიგანის მიხედვითაც.

GPS – ეს ის აუცილებელი ნივთია, რომელიც ლაშქრობის დროს გამოგადგებათ. გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი მოწყობილობა საზღვრავს საიმედო ადგილს, ყველგან, დედამიწაზე და მასთან ახლოს! ნებისმიერ ამინდში, დღის ნებისმიერ მონაკვეთში. თუკი თქვენ ლაშქრობა დედამიწასთან გარეთ არ გაქვთ დაგეგმილი, და მხოლოდ ნაცნობი ბილიკებით აპირებთ სიარულს, მარტივი კომპასიც გამოგადგებათ.

რა თქმა უნდა, სალაშქროდ წასული ადამიანები შიმშილით არ იხოცებიან. საკვების მარაგთან ერთად, სპეციალური ჭურჭლის წაღებაც აუცილებელია. ჭურჭელი უნდა იყოს მსუბუქი და ცეცხლგამძლე. ცეცხლის დანთება ტყეშიც შეიძლება, თუმცა, დაზღვევის მიზნით, მშრალი სპირტის ან გაზის პატარა ავზის წაღებაცა შეიძლება. ჭიქა, როგორც წესი მსუბუქი, ცეცხლგამძლე ლითონისაა.

სხვა აუცილებელი ნივთები, რომლებიც ლაშქრობისას გამოგადგებათ: რუკა, კომპასი, სასიგნალო შუქები, ფარანი, თავზე დასამაგრებელი ფარანი, მჭრელი დანა საჭმლისთვის, სასურველია პატარა ზომის დასაკეცი ან ჯიბის მრავალფუნქციური დანა.

მინი აფთიაქი: წამლები, რომლებიც მუდამ გჭირდებათ, ბინტი, ბამბა და ანტისეპტიკური საშუალება, მალამო მწერების ნაკბენებისთვის, ანტიალერგიული საშუალება, ტკივილგამაყუჩებელი, მაკრატელი, პინცეტი, ნემსი და ძაფი, წებოვანი ბინტი, პირველადი დახმარების ბუკლეტი და ა.შ.

რა თქმა უნდა, არ უნდა დაგავიწყდეთ პირადი ჰიგიენის ნივთებიც, ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია: დეოდორანტი, საპონი, კბილის პასტა და ჯაგრისი, გრძელვადიანი ლაშქრობებისთვის, შამპუნი, სხვადასხვა სახის ლოსიონი – მზისგან დამცავი კრემი, მზის სათვალე და ტუჩის საცხი, რომელიც მზიან დღეებში დამცავის ფუნქციას ასრულებს.

ასევე, აუცილებლად უნდა წაიღოთ თოკი, რომელსაც სხვადასხვაგვარად გამოიყენებთ. პოლიეთილენის რამდენიმე პაკეტი, რომელიც წვიმისას მშრალად შეინახავს თქვენს ნივთებს. აუცილებლად უნდა წაიღოთ საწვიმარი და სპეციალური, გამათბობელი პლედი, რომელიც არ სველდება, არის მსუბუქი და ადვილად სატარებელი. მას ადამიანის სხეულის ტემპერატურის 80 %-ს აღდგენა შეუძლია.

როგორც ხედავთ, ლაშქრობაში აუცილებლად წასაღები ნივთების სია საკმაოდ გრძელია. ჩანთის ჩალაგება კი - დიდი რიტუალი. სასიამოვნო ლაშქრობას გისურვებთ!

PHOTOS Tegeta Motors archive







**...WITH FERODO OE-QUALITY BRAKE PADS !**

Some people go to great lengths to protect their cars and those in it. But very few things can give you the same level of protection and control as Ferodo's OE-quality braking solutions. Ferodo gives you improved stopping distances, strong and consistent brake power and really low noise.

**With Ferodo, you're in control.**

www.ferodo.com

FERODO®

YOU'RE IN CONTROL

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...

# 9 largest classic automobile auctions

AUTOMOBILE AUCTIONS ARE A DISTINCTIVE SHOW FOR AUTOMOBILE ENTHUSIASTS. IMAGINE A ROOM FULL OF THE MOST DESIRED CARS OF THE WORLD WHERE THE WORLD'S MOST POWERFUL PEOPLE DON'T MIND SPENDING MILLIONS OF DOLLARS TO PURCHASE THE MODEL THEY WANT. HISTORY REMEMBERS MANY SUCH AUCTIONS. HERE ARE 9 MOST DISTINCTIVE CLASSIC AUTOMOBILE AUCTIONS:

# კლასიკური ავტომობილების 9 ყველაზე მსხვილი აუქციონი

ავტომობილების აუქციონი ავტომოყვარულებისთვის ნამდვილად გამორჩეული სანახაობაა. წარმოიდგინეთ მსოფლიოს ყველაზე სასურველი ავტომობილებით სავსე ოთახი, სადაც მსოფლიოს ყველაზე შეძლებული ხალხი მილიონობით დოლარს არ იშურებს სასურველი მოდელის შესაძენად. ასეთი აუქციონები ისტორიას მრავლად ახსოვს. წარმოგიდგენთ კლასიკური ავტომობილების ყველაზე გამორჩეულ 9 აუქციონს.




Ferrari 275 GTB/4 NART Spider
1967









**IN 2007** an automobile was sold for a record price for the American market at the Barret-Jackson company auction. If before that, the total price of the auction automobiles equaled 100 million dollars, the company broke the record by gathering 112 million dollars from the sales.

---

**2007 წელს** კომპანია Barret-Jackson-ის აუქციონზე ამერიკულ ბაზარზე გაყიდული ავტომობილის ღირებულების რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა. თუკი აუქციონზე აქამდე გაყიდული ავტომობილების ჯამური ღირებულება 100 მილიონ დოლარს უდრიდა, კომპანიამ რეკორდი მოხსნა და გაყიდვებით შემოსული თანხის ჯამმა 112 მილიონ დოლარს მიაღწია.





**IN 2013** a Ferrari 275 GTB/4 NART Spider of the year 1967 was auctioned at the RM Auctions in California. The organizers initial assumption was that the automobile would sell for an estimate of 14 to 17 million dollars and set the starting price at 10 million. However, the events developed way differently than expected and on the second call, one of the participants expressed their desire to pay 16 million dollars for this automobile. The price went up gradually and finally, the automobile was sold for 27.5 million US dollars.

---

**2013 წელს,** კალიფორნიაში, კომპანია RM Auctions-ის აუქციონზე გასაყიდ ექსპონატად 1967 წლის Ferrari 275 GTB/4 NART Spider გამოიყვანეს. ორგანიზატორების თავდაპირველი ვარაუდით, ავტომობილი დახლოებით 14-დან 17 მილიონ დოლარად უნდა გაყიდულიყო და მის საწყის ფასად 10 მილიონი დოლარი დააწესეს. თუმცა მოვლენების განვითარებამ მათ მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა და უკვე მეორე შეთავაზებაზე, აუქციონის ერთ-ერთმა მონაწილემ ამ ავტომობილში 16 მილიონი დოლარის გადახდის სურვილი გამოთქვა. ნელ-ნელა ფასმაც იმატა და საბოლოოდ, ავტომობილი 27,5 მილიონ დოლარად გაიყიდა.




The Blue Print of Mercedes-Benz W196R
Formula-1



**IN 2013** at the Bonhams auction held within the frames of the Goodwood Festival of Speed in London, the Mercedes W196R Juan Manuel Fangio drove in 1954 at the German and Swedish Grand Prix races was sold for 29.65 million dollars. This is the highest price ever paid for a Formula 1 model. This automobile turned out to be of historical importance not only to Formula 1, but Mercedes-Benz as well. As the chairman of Bonham Robert Brooks noticed, it was “the most important historical Grand Prix race car ever to be put for sale.”

Juan Manuel
Fangio



**2013 წელს,** ლონდონში, Bonhams-ის აუქციონზე, რომელიც Goodwood Festival of Speed-ის ფარგლებში ჩატარდა, 29,65 მილიონ დოლარად გაიყიდა Mercedes W196R, რომელსაც 1954 წელს ჟან მანუელ ფანჯო მართავდა გერმანული და შვედური გრანდ პრიქსის რბოლაზე. ეს ავტომობილი ფორმულა 1-ის ყველაზე ძვირად გაყიდული მოდელია და ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩნდა, როგორც ფორმულა 1-ისათვის, ისე Mercedes-Benz-თვის. როგორც Bonham-ის თავმჯდომარემ, რობერტ ბრუკსმა აღნიშნა, ეს იყო „ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული გრანდ პრიქსის მრბოლელი ავტომობილი, რაც კი გასაყიდად გამოუტანიათ“.



The Mercedes W196R Juan Manuel Fangio drove in 1954 at the German



Mercedes-Benz
W196R


Chevrolet Cameo
1958


Chevrolet Impala
1964




Chevrolet Corvette Indy
1978

**THERE WAS** a Chevrolet auction in Nebraska in 2013 where automobile enthusiasts had the chance to look through and purchase automobiles that had been locked in capsules. One of the rarest among the exhibited models was the 1958 Chevy Cameo with a total run of 1.3 miles, sold for 140.000 dollars despite the fact that the roof had a hole in it. Impala of 1964 with an 11 mile run was sold for 97.500 dollars and the 1978 Corvette Indy with a run of only 4 miles – for 80.000 dollars.




**2013 წელს,** ნებრასკას შტატში Chevrolet-ის მარკის ძველებური ავტომობილების აუქციონი გაიმართა, სადაც ავტომოყვარულებს მიეცათ საშუალება, დაეთვალიერებინათ და შეეძინათ ავტომობილები, რომლებიც აქამდე დროის კაფსულაში იყო ჩაკეტილი. წარმოდგენილ ექსპონატებს შორის ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი მოდელი იყო 1958 წლის Chevy Cameo, რომლის გარბენიც ჯამში 1,3 მილს შეადგენდა და რომელიც 140,000 დოლარად გაიყიდა, იმის მიუხედავადაც კი, რომ სახურავი გახვრეტილი ჰქონდა. 11-მილიანი გარბენის მქონე 1964 წლის Impala - 97,500 დოლარად, ხოლო 1978 წლის Corvette Indy სულ რაღაც 4-მილიანი გარბენით - 80,000 დოლარად გაიყიდა.




**THE AUCTION COMPANY** Gooding & Company is turning 10 this year. David Gooding got rid of a large competitor Christie's in 2004 by founding this company. Gooding & Company has been successful since the very first auction.

**ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ,** Gooding & Company-ს ამ წელს 10 წელი უსრულდება. დეივიდ გუდინგმა 2004 წელს მისი დაარსებისას ბაზრიდან მსხვილი კონკურენტი კომპანია Christie's ჩამოიშორა. Gooding & Company-ს პირველსავე აუქციონს დიდი წარმატება მოჰყვა და დღემდე ასე გრძელდება.




Chevy Camaro ZL-1
1969

Pontiac GTO Judge Ram-Air IV
1969

**A COLLECTOR** Milton Robson has gathered the classic American automobiles of the 1950's in Gainesville, Georgia. These 55 automobiles with a 1969 Chevy Camaro ZL-1 and Pontiac GTO Judge Ram-Air IV among them cost a total of 10 million dollars.

**ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲛᲐ** მილტონ რობსონმა ჯორჯიას შტატში, გეინსვილში, 1950-იანი წლების კლასიკურ ამერიკულ ავტომობილებს მოუყარა თავი. 55 ავტომობილის ღირებულებამ, რომელთა შორისაც იყო 1969 წლის Chevy Camaro ZL-1 და Pontiac GTO Judge Ram-Air IV, ჯამში 10 მილიონი დოლარი შეადგინა.

**THE WEINER** Microcar collection exhibited at the 2013 RM Auction was called the largest collection of small cars. Despite the scale of the auction, a large majority of exhibits were rare models. There were amazing models such as Messerschmitt – KR201, Messerschmitt Tiger and Goggomobil Transporter in the collection.

**2013 წლის** RM Auction-ის აუქციონის Weiner Microcar-ის კოლექციას პატარა ავტომობილების ყველაზე დიდი კოლექცია უწოდეს. მიუხედავად მისი მასშტაბებისა, ექსპონატთა უმრავლესობა იშვიათი მოდელი იყო. კოლექციაში შედიოდა ისეთი არაჩვეულებრივი მოდელები, როგორებიცაა: Messerschmitt – KR201, Messerschmitt Tiger, და Goggomobil Transporter.



Reyonnah
1951



Peel Trident
1966



Crosley Farm-O-Road
1949





FMR Tg 500 Tiger
1958



Voisin Biscooter
1949



McDonough Buckboard
1960

Goggomobil TL-250 Transporter
1963






Messerschmitt KR 201 Roadster
1957












**IN THE 1980'S** Ricky Cole auctions was one of the legendary auctions in Monterey with celebrities being a large majority of their customers. However, the company began to decline in 1991, it almost went bankrupt and it took 15 years to regain its title.

**1980-იან წლებში**
Ricky Cole auctions
ერთ-ერთი ყველაზე ლეგენდარული აუქციონი იყო მონტერეიში, რომლის კლიენტების დიდ ნაწილს ცნობილი ადამიანები შეადგენდნენ. თუმცა, 1991 წელს კომპანიის საქმეებმა უკუსვლა იწყო, კომპანია თითქმის გაკოტრდა და 15 წელი დასჭირდა საკუთარი ტიტულის დასაბრუნებლად.












William Harrah with part of his beloved collection of antique automobiles

**კაზინოების მაგნატი,** უილიამ ჰარა ამერიკაში ყველაზე დიდი ავტოკოლექციის მფლობელი იყო. გარდა იმისა, რომ დასავლეთ ამერიკაში „ფერარის“ დისტრიბუტორი იყო, მისი ავტომობილების კოლექცია 1500 მოდელისაგან შედგებოდა და ნევადაში, რეონოში იყო წარმოდგენილი. როდესაც უილიამი 67 წლის ასაკში გარდაიცვალა, Holiday Inn-მა მისი სასტუმრო და კაზინოები შეიძინა, ხოლო მისი კოლექცია - გაყიდა. მართალია, კოლექციის ნაწილი კვლავაც რენოში დარჩა და ეს ადგილი შემდგომში ავტომობილების ეროვნულ მუზეუმად იქცა, თუმცა ნაწილი 1984 წლიდან Kruse International-ის აუქციონებზე გაიყიდა.

**A CASINO MAGNATE** William Harrah was the owner of the largest automobile collection in the US. Other than being a Ferrari distributor in West America, his automobile collection consisted of 1500 models, presented in Reno, Nevada. When William died at the age of 67, Holiday Inn purchased his hotel and casinos and sold his collection. Although most of the collection still remains in Reno and this place later turned into the National Museum of Automobiles, some of it was sold on Kruse International auctions from 1984.




Beatnik Bandit
1961




*READ INTERVIEW MAGAZINE*

FlitMedia publishing house

INTERVIEW

# COLLECTIBLE auto

LIFE WITHOUT AUTOMOBILES IS UNIMAGINABLE THESE DAYS. FROM BEING ITEMS OF LUXURY, THEY HAVE TURNED INTO EVERYDAY NECESSITIES AND THE INTEREST TOWARDS THEIR HISTORY, STYLE AND DESIGN REMAINS JUST AS TOPICAL AS AUTOMOBILES, THEMSELVES. MANY AUTOMOBILE ENTHUSIASTS ARE WELL AWARE OF THE PAST, PRESENT AND EVEN THE FUTURE (meaning future plans, perspectives etc.) OF THEIR FAVORITE AUTOMOBILE COMPANIES. THEY CAN TALK ENDLESSLY ABOUT THE LOGO, COMPANY SLOGAN, MANUFACTURED DESIGNS AND YEARS OF PRODUCTION AND SUCH AN APPROACH REALLY DOES DESERVE A LOT OF RESPECT. AUTOMOBILE COLLECTORS BELONG TO THIS PARTICULAR "CAST" AND THIS ARTICLE WILL PROVIDE YOU WITH COMPLETE INFORMATION ABOUT THIS HOBBY.



## HISTORY

Companies started manufacturing collectible and ordinary automobiles simultaneously. The first samples were distinctive with precisely processed details and usage of a variety of materials including wood, primitive plastic, iron, tin, cast iron etc. There were copies of serial production automobiles, as well as units of distinctive and unique models.

Cast iron models were particularly popular in Germany in the 1900's. Most of the models manufactured in this period did not have a mechanism and had a single revolving axis. The first models were manufactured at German toy factories and were larger than the size we are used to now. 1:8 and 1:11 models

> Cast iron models were particularly popular in Germany in the 1900's

were relatively refined. By 1920 a French company Citroen created a distinctive model of a delicate construction that remained popular for many years.

Right before WWI it became trendy to cast massive collectible automobiles from iron, yet very soon the tendency was replaced by steel stamped models manufactured by Buddy L Toys. These models consisted of several details and were built manually. Quality-wise they were much better than whole-cast models

# საკოლექციო
## ავტომობილები

**დღესდღეობით,** ავტომობილების გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ეს უკვე ფუფუნების საგანი კი არა, ყოველდღიურობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ავტომობილების ისტორიის, სტილის, დიზაინისადმი ინტერესი კი ისეთივე აქტუალურია, როგორც თავად ავტომობილი. უამრავი ავტომოყვარული საფუძვლიანად ერკვევა თავისი ფავორიტი საავტომობილო კომპანიის წარსულში, აწმყოსა და მომავალშიც კი (იგულისხმება სამომავლო გეგმები, პერსპექტივები და ა.შ).



მათ შეუძლიათ, გაუთავებლად ისაუბრონ ლოგოს, კომპანიის სლოგანის, მათ მიერ წარმოებული მოდელების დიზაინისა და გამოშვების წლების შესახებ და ამგვარი დამოკიდებულება ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას. სწორედ ამ „კასტას" განეკუთვნებიან ავტომობილების საკოლექციო მოდელების კოლექციონერები. სტატიიდან კი ამ ჰობიზე, ამ გატაცებაზე მიიღებთ ამომწურავ ინფორმაციას.

Ferrari F1-2000
Engine at 1:4 Scale



mobiles



Ferrari 375 Plus - Parts Board




**FERRARI**
LaFerrari
at 1:12 Scale



that had no further space for improving quality since all intervention reflected negatively on a ready-made product.

After World War II they finally started manufacturing quality whole-cast small scale models and today, any collector in this business, to whom quality and prehistory of a model are equally important, knows that Matchbox (first known under the name of Matchbox Lesney) produced the best quality products at that time. According to the legend, the first model the owner of this company manufactured was the coronation carriage for Queen Elisabeth, with the scale of 1:43. Such a small size was due to the fact that the owner created the toy for his daughter, who was not allowed to take toys with her to school.

What good is a new toy if you can't share the happiness of owning it with classmates? According to school rules, kids were only allowed to bring an item that could fit in a box of matches. So the girl put this beautiful toy in a matchbox and shared her gift with her classmates.

## ისტორია

ავტომობილების საკოლექციო მოდელების წარმოება თავად ავტომობილების წარმოების პარალელურად დაიწყეს კომპანიებმა. პირველი ნიმუშები გამოირჩეოდა იმით, რომ დეტალები ზედმიწევნით ზუსტად იყო დამუშავებული და გამოიყენებოდა ისეთი მრავალფეროვანი მასალები, როგორიცაა ხე, პრიმიტიული პლასტმასი, რკინა, კალა, თუჯი, სხვადასხვა მეტალი და ა.შ. კეთდებოდა როგორც სერიული წარმოების ავტომობილების ასლები, ისე ერთეული, გამორჩეული, უნიკალური ეგზემპლარების მოდელებიც.

თუჯის ჩამოსხმული მოდელი-ასლები თავდაპირველად განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა გერმანიაში, 1900-იან წლებში. ამ პერიოდში წარმოებული მოდელების უმეტესობა უმექანიზმო იყო და მხოლოდ მბრუნავი ღერძი ჰქონდა. პირველი მოდელები გერმანული სათამაშოების მწარმოებელ ქარხნებში მზადდებოდა და მასშტაბით

## NECESSARY INFORMATION

We must differentiate collectible models and toy copies of original models. The first is different from the second by the fact that a model must ideally follow the real sizes and scales of the prototype, the proportions must be studied and taken into account when creating a model. Detail accuracy is also paid attention to. Doors and the trunk can be opened on most of collectible models; the steering wheel also turns... While toy automobiles only look like originals and these visuals are often conditional and approximate. Details are not that important, neither are proportions and scales taken into account during the manufacturing process.




A Matchbox Volkswagen Camper Van










**MERCEDES** W196 Monoposto at 1:8 Scale

აღემატებოდა იმ ზომებს, რომლებსაც ახლა ვართ შეჩვეული. მეტნაკლები დახვეწილობა შეინიშნებოდა 1:8 და 1:11 მასშტაბის მოდელებში. 1920 წლისთვის ფრანგულმა კომპანიამ, Citroen-მა შექმნა იმ პერიოდისთვის გამორჩეული, ნატიფი კონსტრუქციის მოდელი, რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მრავალი წლის მანძილზე.

პირველი მსოფლიო ომის წინ მოდაში შემოვიდა მასშტაბური სამოდელო ავტომობილების ჩამოსხმა თუჯისგან, თუმცა სულ მალე ეს ტენდენცია შეავიწროვა ფოლადის დაშტამპულმა მოდელებმა, რომლებსაც ფირმა Buddy L Toys ამზადებდა. ეს მოდელები რამდენიმე მცირე დეტალისგან ხელით ეწყობოდა და ხარისხით ერთიან, ჩამოსხმულ მოდელებზე უკეთესიც იყო, რომელთა ხარისხის გაუმჯობესებაც, მცდელობების მიუხედავად, ვერ ხერხდებოდა, რადგან უკვე მზა პროდუქტზე ნებისმიერი ჩარევა უარყოფითად აისახებოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყეს ხარისხიანი ერთიანი, ჩამოსხმული, მცირე მასშტაბის მოდელების შექმნა და დღეს ნებისმიერმა კოლექციონერმა, რომელიც ამ საქმიანობითაა დაკავებული და რომლისთვისაც მნიშვნელოვანია ხარისხი და საკოლექციო ეგზემპლარის პრეისტორია, იცის, რომ იმ პერიოდში ყველაზე ხარისხიან პროდუქტს ფირმა Matchbox (თავდაპირველად Match-box Lesney-ს სახელით ცნობილი) უშვებდა. ლეგენდის თანახმად, პირველი მოდელი, რომელიც ამ კომპანიის მეპატრონემ გამოუშვა, იყო ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედის კორონაციისთვის განკუთვნილი ეტლი, მასშტაბით - 1:43.

ასეთი სიმცირე იმით იყო განპირობებული, რომ მეპატრონემ სათამაშო თავის ქალიშვილს გაუკეთა, მას კი სკოლაში სათამაშოების ტარება ეკრძალებოდა.



**ASTON MARTIN** LMP1
2009 Gulf Le Mans
at 1:8 Scale



**LAMBORGHINI**
Countach LP400 at 1:8 scale



**LOTUS** 38/1
Jim Clarke Indianapolis
500 1965 at 1:8 scale

Besides, the first is meant to fill in collections, while the second – is made for entertainment and games. There's a difference in price as well. Collectibles are rather expensive, while toy models are affordable to anyone.

A collectible is an unusual, distinctive, special and unequivocally a great gift for men of any age and interests and it's always on top spots among top 10 popular presents.



აბა ახალი სათამაშო რა ახალი სათამაშოა, თუ კლასელებს არ გაუზიარე სიხარული. სკოლის წესების თანახმად, ისეთი ნივთის სკოლაში მიტანა, რომელიც ასანთის კოლოფში ეტეოდა, დასაშვები იყო.

გოგონამაც მოათავსა ეს მშვენიერი საგანი ასანთის კოლოფში და კლასელებიც დაატკბო.



**FERRARI** F138
China GP at 1:8 Scale



**FERRARI**
LaFerrari
at 1:8 Scale



**BUGATTI**
Type 59 Wimille
at 1:8 scale

## ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

აუცილებელია, ერთმანეთისგან განვასხვავოთ საკოლექციო მოდელები და ორიგინალის მიხედვით დამზადებული სათამაშო

PHOTOS www.finemodelcars.com




**FERRARI**
3705GT at 1:8 scale




ეგზემპლარები. პირველი იმით განსხვავდება მეორისგან, რომ ნიმუში იდეალურად უნდა იცავდეს პროტოტიპის რეალურ ზომებსა და მასშტაბებს, პროპორციები ზედმიწევნით უნდა იყოს შესწავლილი და სრულად გათვალისწინებული მოდელში. ყურადღება ექცევა დეტალების სიზუსტესაც. საკოლექციო ეგზემპლარების უმეტესობას ეღება კარები და საბარგული, უტრიალებს საჭე...

სათამაშო ავტომობილები კი მხოლოდ გარეგნული თვალსაზრისით ჰგავს ორიგინალს და ეს მსგავსებაც ხშირად პირობითი ან მიახლოებითია. დეტალებს ყურადღება არ ექცევა, არც პროპორციები და მასშტაბია გათვალისწინებული წარმოებისას.

გარდა ამისა, პირველის დანიშნულება იშვიათი კოლექციების რიგების შევსებაა, მეორესი კი - გართობა და თამაში. სხვაობაა ფასშიც.

საკოლექციო ავტომობილები საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, სათამაშო მოდელები კი ნებისმიერისთვისაა ხელმისაწვდომი.

საკოლექციო მოდელი უჩვეულო, გამორჩეული, სოლიდური და ერთნიშვნელოვნად მომგებიანი საჩუქარია ნებისმიერი ასაკის და ინტერესების მამაკაცისთვის და ყოველთვის წამყვან ადგილებს იკავებს პოპულარული საჩუქრების რეიტინგში.



Hollywood is not just the place of American filmmaking; it also largely defines the lifestyle of the most famous people in the world born here.

# Automobiles in HOLLY





**THE FIRST** things to come to mind when hearing the word “Hollywood” are the stars, riches and high-class brands. And that’s what Hollywood is like – turning people into stars not just because of their talent, but also because of their lifestyle.

We see stars in many movies and musical shows, where they fit different roles and create a variety of characters, yet clearly, these are just roles, whereas their lifestyles are what reveal the true features of their personalities with automobiles telling particularly a lot. This is why we now present you the most popular people and their automobiles.

**ჰოლივუდი** მხოლოდ ამერიკული კინოს შექმნის ადგილი არ არის, აქ დაბადებული მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ადამიანების ცხოვრების სტილსაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს.

სიტყვა „ჰოლივუდის“ გაგონებისას, პირველი, რაც თავში გაგვიელვებს, არის ვარსკვლავები, სიმდიდრე, მაღალი კლასის ბრენდები. ასეც არის, ჰოლივუდი ადამიანებს ვარსკვლავად აქცევს არა მხოლოდ მათი ნიჭის, არამედ მათი ცხოვრების სტილის გამოც.

ვარსკვლავებს უამრავ ფილმსა თუ მუსიკალურ შოუში ვხედავთ, სადაც მრავალ ამპლუას ირგებენ და არაერთ პერსონაჟს ქმნიან, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ როლია, მათ რეალურ პიროვნულ მახასიათებლებს კი ხშირად ცხოვრების სტილი ამჟღავნებს, რომლის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ატრიბუტი ავტომობილიცაა. სწორედ ამიტომ, წარმოგიდგენთ ყველაზე პოპულარულ ადამიანებს და მათ ავტომობილებს.

# WOOD

## JASON STATHAM – JAGUAR E-Type

Jason Statham famous for his heroic roles in American films owns a Jaguar E-Type.

ჯეისონ სტეტჰემი, რომელმაც კარიერა ამერიკულ ფილმებში გმირების თამაშით გაითქვა Jaguar E-Type-ის მფლობელია.



1



## ANGELINA JOLIE AND BRAD PITT

FORD Explorer (1), CHEVROLET Tahoe SUV (2)
JAGUAR XJ (3)

2





Angelina Jolie is no stranger to wealth and splendor, she drives a Jaguar XJ. Jolie's and Pitt's garage also holds a Chevrolet Tahoe SUV and a Ford Explorer.

3



სიმდიდრე და ბრწყინვალება უცხო არ არის ანჯელა ჯოლისთვის, ის Jaguar XJ-ის საჭესთან ზის. ჯოლისა და პიტის ავტოფარეხში ასევე დგას Chevrolet Tahoe SUV და Ford Explorer.



## JENNIFER GARNER AND BEN AFFLECK

(4) RANGE ROVER
(5) LAND ROVER Discovery

Ben Affleck's and Jennifer Garner's family has a Land Rover Discovery at their service. Although Garner also owns a personal Range Rover brand automobile as well.




4



5

ბენ აფლეკისა და ჯენიფერ გარნერის ოჯახს კი Land Rover Discovery ემსახურება. თუმცა თავად გარნერს Range Rover-ის ფირმის საკუთარი ავტომობილიც ჰყავს.

## JULIA ROBERTS AND DANNY MODER

TOYOTA Prius [6]
MERCEDES-BENZ GL320 CDI [7]
CHEVROLET Volt [8]

Julia Roberts's family has a Mercedes-Benz GL320 CDI, a Toyota Prius and a Chevrolet Volt at their service. However, the actress says she is planning to switch to a solar automobile.




6



7



8

ჯულია რობერტსის ოჯახს Mercedes-Benz GL320 CDI, Toyota Prius და Chevrolet Volt ემსახურება. თუმცა, როგორც მსახიობი ამბობს, მალე მზის ენერგიაზე მომუშავე ავტომობილზე აპირებს გადასვლას.







9

## ANNE HATHAWAY

NISSAN
Murano [9]

Oscar-winning actress Anne Hathaway drives a Nissan Murano.

ოსკაროსან მსახიობს, ენ ჰეთევეის Nissan Murano ჰყავს.




## CHARLIE SHEEN

MERCEDES-BENZ S Class [1]
BMW X5 [2]
MASERATI GranCabrio [3]









Charlie Sheen is not a big automobile enthusiast, but he has a Mercedes S Class, BMW X5 and a Maserati GranCabrio in his garage.  These are the dream cars for many people who are passionate about cars.

ჩარლი შინი მანქანების დიდი მოყვარული არ გახლავთ, თუმცა ავტოფარეხში Mercedes S Class, BMW X5 და Maserati GranCabrio ჰყავს. სწორედ ის მანქანები რომლებიც ბევრი ავტომოყვარულის ოცნებაა.



## HUGH GRANT

AUDI R8 [4]

A popular actor Hugh Grant drives an Audi R8 and is not planning to change it.

---

პოპულარული მსახიობი, ჰიუ გრანტი Audi R8-ს მძღოლია და როგორც ამბობს, მის გამოცვლას არ აპირებს.





## PIERCE BROSNAN
ASTON MARTIN Vanquish [5]

The former Agent 007, Pierce Brosnan drives the Aston Martin Vanquish.

ყოფილი აგენტი 007, პირს ბროსნანი, Aston Martin Vanquish-ის მძღოლია.



5

## JUSTIN TIMBERLAKE
Audi S5 [6]

6




Cameron Diaz's ex-fiancé, Justin Timberlake drives an Audi S5 Cabriolet.

კამერონ დიასის ყოფილი საქმრო, ჯასტინ ტიმბერლეიკი, კი Audi S5 Cabriolet-ს მართავს.






## CARMEN ELECTRA
DODGE Challenger [7]

Actress and a model Carmen Electra who often finds herself in car accidents is currently driving a Dodge Challenger.

მოდელი და მსახიობი კარმენ ელექტრა, რომელიც საკმაოდ ხშირად ხვდება ავარიაში, Dodge Challenger-ს მართავს.

7





1

## BRITNEY SPEARS

MERCEDES-BENZ
SL 65 AMG [1]



The scandalous pop-princess Britney Spears got herself a present and bought a Mercedes-Benz SL 65 AMG.

პოპ პრინცესამ, ბრიტნი სპირსმა, რომელიც ბოლო წლებია არაერთ სკანდალში გაეხვა, საკუთარ თავს საჩუქარი გაუკეთა და Mercedes-Benz SL 65 AMG შეიძინა.



## LEONARDO DICAPRIO

TOYOTA Prius [2]



2

Leonardo DiCaprio was disappointed by the Oscars this year as well; he is probably waiting for the Academy Award to change his Toyota Prius he has been driving around for several years.

ლეონარდო დიკაპრიოს ოსკარმა წელსაც გაუცრუა იმედები, ალბათ აკადემიის ჯილდოს აღებას ელოდება და სწორედ მაშინ გამოცვლის Toyota Prius-ს რომელსაც რამდენიმე წელია მართავს.



## TOMMY LEE JONES

FERRARI 458 [3]

It turned out that other than knowing how to create a good character, Tommy Lee Jones also knows what a Hollywood star should be driving. He has a Ferrari 458.

როგორც აღმოჩნდა, ტომი ლი ჯონსმა, გარდა იმისა, რომ იცის, როგორ შექმნას კარგი პერსონაჟი, იცის ისიც, თუ როგორი მანქანა უნდა ჰყავდეს ჰოლივუდის ვარსკვლავს. ის Ferrari 458-ს მართავს.



3




4

## VICTORIA AND DAVID BECKHAM
RANGE ROVER SUV [4]

Victoria and David Beckham buy automobiles as often as an average American buys hot dogs. Their most recent selection is a Range Rover SUV.



ვიქტორია და დევიდ ბექჰემები ისევე ხშირად ყიდულობენ ავტომობილებს, როგორც საშუალო სტატისტიკური ამერიკელი ჰოთ დოგს. მათი ყურადღება ამჯერად - Range Rover SUV-ზე შეჩერდა.

## TOM CRUISE – PORSCHE 911 [5]



Tom Cruise has been a loyal driver of a Porsche 911 for several years now.

ტომ კრუზი უკვე რამდენიმე წელია Porsche 911-ის ერთგული მძღოლია.



5

## JENIFER LAWRENCE – CHEVROLET Suburban SUV [6]



Oscar-winner Jenifer Lawrence has a Suburban SUV with a personal driver to drive her around every day.

ოსკაროსან ჯენიფერ ლოურენსს Suburban SUV ჰყავს და მას ყოველ დღე პირადი მძღოლი ემსახურება.

6



# FLYING









Almost all automobile enthusiasts saw the unusual photo session by the French photographer Renaud Marion. He created futuristic photographs with Photoshop and called them Air Drive. Automobiles without tires are presented as if they were a part of our everyday life.

He had the idea of photographing automobiles without tires when he

## მფრინავი

## ავტომობილები ბავშვობიდან

**ფრანგი ფოტოგრაფის**, რენო მარიონის (Renaud Marion), უცნაური ფოტოსესია თითქმის ყველა ავტომოყვარულმა ნახა. ფუტურისტული ფოტოები მან ფოტოშოპის საშუალებით შექმნა და სახელის, Air Drive-ის ქვეშ გააერთიანა. ავტომობილები საბურავების გარეშე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი ყოფილიყოს.

# automobiles from childhood










was little. He thought that that's what automobiles would look like in the 21st century. However, it turned out he was wrong. But turning thoughts and expectations into reality is a part of his job. Of course, science fiction had a great influence on his imagination.

Renaud Marion says that he constantly watches the world through photographer's eyes. He started the shootings in Geneva,

იდეა, გადაელო ავტომობილები საბურავების გარეშე, ჯერ კიდევ ბავშვობაში მოუვიდა. ეგონა, რომ 21-ე საუკუნეში სწორედ ასეთი ავტომობილები იქნებოდა. შემდეგ აღმოაჩინა, რომ მწარედ შეცდა, მაგრამ წარმოდგენებისა და მოლოდინის რეალობად ქცევა მისი პროფესიის ნაწილია. რა თქმა უნდა, მის ფანტაზიაზე დიდი როლი სამეცნიერო ფანტასტიკამ ითამაშა.

რენო მარიონი ამბობს, რომ ის სამყაროს მუდამ ფოტოგრაფის თვალით უყურებს. გადაღებები ჟენევაში დაიწყო, ქუჩებში საინტერესო ავტომობილებს ეძებდა.

სურვილი – ავტომობილი მისთვის უცნობ გარემოში

looking for interesting automobiles in the street. His desire – to take photos of automobiles in an unusual environment, soon became real. Right after the first series were released, a collector offered him to take photos of his automobiles in Paris. The second part of Air Drive is shot there. By Photoshopping the photos Renaud Marion made his childhood dream come true: there were "flying automobiles" in the city.

ყოფილიყო აღბეჭდილი, მალევე ახდა. სერიის პირველი ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ ერთმა კოლექციონერმა ავტომობილების გადაღება, პარიზში შესთავაზა. Air Drive-ის მეორე ნაწილი სწორედ იქ არის გადაღებული. ფოტოების

## I like simple aesthetic banalities













"I don't know if I have my own style. I think my photos are ordinary, I like simple aesthetic banalities and landscapes bring me peace."

Mercedes-Benz, Jaguar, Cadillac etc. – this is an incomplete list of "flying automobiles"; the photograph is planning to keep working on the project.

ფოტოშოპით დამუშავებით რენო მარიონმა ბავშვობის ოცნება აიხდინა: „მფრინავი ავტომობილები“ ქალაქში.

„არ ვიცი, მაქვს თუ არა ჩემი სტილი. მე მგონია, რომ ჩემი ფოტოები ჩვეულებრივია, მიყვარს მარტივი ესთეტიკური ბანალურობა, პეიზაჟები კი სიმშვიდეს მგვრის.“

„მერსედეს ბენცი“, „იაგუარი“, „კადილაკი“... „მფრინავი ავტომობილების“ სია არასრულია, პროექტზე მუშაობის გაგრძელებას ფოტოგრაფი ისევ აპირებს.

WE CAN DO IT TOGETHER




OPTIMA REDTOP batteries bring together everything you need to get your off-roader back on track. Their unique AGM SPIRALCELL TECHNOLOGY ensures not only power you can rely on, but also a service life that`s twice that of conventional batteries, minimal self-discharge and exceptional starting power. They`re also extremely vibration-resistant and 180 spill-proof, making them perfector rough terrain. And best of all, OPTIMA REDTOP batteries not only boast impressive performance, but also reliably provide exceptional value for money.

For more information contact the OPTIMA UK customer services team on 01753 480610, email optima.uk@jci.com or visit our website at www.optimabatteries.com

OPTIMA® BATTERIES
THE ULTIMATE POWER SOURCE™

Johnson Controls

The OPTIMA logo, OPTIMA batteries. THE ULTIMATE POWER SOURCESPIRAL CELL TECHNOLOGY and REDTOP are trademarks of Johnsosn Controls, Inc.

☎ 226 44 44
info@tegetamotors.ge
www.tegetamotors.ge, www.fb.com/tegetamotors

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS
HOLDING COMPANY

It`s Time To Choose Quality...

THE FACT THAT SOMEONE LOVES AUTOMOBILES DOES NOT NECESSARILY MEAN THEY'RE A GOOD DRIVER. JUST FOR THE SOLE FACT THAT LOVE FOR AUTOMOBILES IS NOT ONLY REVEALED IN THE POSITIVE FEELINGS THEY RECEIVE FROM DRIVING AND ALSO HAS MORE ABSTRACT AND AESTHETIC PLEASURE TO IT. INTEREST TOWARDS NEW AUTOMOBILES HAS BEEN CONTINUOUS SINCE THE FOUNDATION OF AUTOMOBILE INDUSTRY. THE NEWEST PRODUCTS OF FAMOUS BRANDS OFTEN REMAIN AN INACCESSIBLE DREAM TO MOST PEOPLE, BUT THAT IS NEVER GOOD ENOUGH A REASON TO LOSE INTEREST IN THEM.  IN SHORT, LET'S TALK ABOUT AUTOMOBILES OF 2014.

# AUTO



**PORSCHE**
918 Spyder

**BMW**
4-Series Coupe



2014

ადამიანის მიერ ავტომობილების სიყვარული იმ ფაქტის აუცილებლობაზე ნამდვილად არ მიუთითებს, რომ ეს პიროვნება კარგი მძღოლია. ამ მოსაზრებას ისიც მოწმობს, რომ ავტომობილების სიყვარული მხოლოდ მათი მართვის შედეგად მიღებულ პოზიტიურ შეგრძნებებში არ მჟღავნდება და ამ გრძნობას სხვა, უფრო აბსრაქტული, ესთეტიკური სიამოვნებაც ახლავს თან. ახალი ავტომობილებისადმი ინტერესი ავტოინდუსტრიის დაფუძნების პერიოდიდან მოყოლებული, დღემდე უწყვეტად გრძელდება. ხშირ შემთხვევაში ცნობილი ბრენდების უახლესი გამოშვებები ადამიანთა დიდი ნაწილისთვის მიუწვდომელ ოცნებად რჩება, თუმცა ეს არ ხდება ხოლმე მათდამი ინტერესის დაკარგვის მიზეზი. მოკლედ, 2014 წლის ავტომობილებზე ვისაუბროთ.

ავტომობილები

# mobiles




**ACURA**
RLX

**MERCEDES-BENZ**
CLA

**ALFA ROMEO**
4C





## **PORSCHE** 918 Spider – **from $845,000**

**BY** creating the new Porsche 918 Spider Porsche brought to life a true competitor for McLaren and Ferrari. It takes less than 3 seconds for this automobile to develop 60 mph from 0 with its 4.6 liter V8 887 horsepower engine. The starting price is 845,000 USD. Porsche enthusiasts are really looking forward to the release of this model.

**ამ ახალი** ავტომობილის – Porsche 918 Spider-ის სახით, Porsche-მ McLaren-სა და Ferrari-ს ღირსეული კონკურენტი გაუჩინა. ავტომობილის 4,6-ლიტრიანი – V8 – 887 ცხენისძალიანი ძრავა 0-დან 60 მილი საათში სიჩქარის განვითარებას სამ წამზე ნაკლებს ანდომებს. მისი საწყისი ღირებულება 845,000 დოლარია. Porsche-ს მოყვარლები ამ მოდელის გამოსვლას ნამდვილად მოუთმენლად ელიან.










## **ALFA ROMEO** 4C – $ unknown

**ALFA ROMEO** is preparing to return to the US market and does it with little modesty: the new automobile is – Alfa Romeo 4C with a 1.7 liter, 4 cylinder engine with 240 horsepower. That's much more than enough for this sports car considering that it only weighs 2.200 pounds. The price is still unknown and the release date will be announced to the public soon.

**ALFA ROMEO** ამერიკულ ავტობაზარზე დაბრუნებისთვის ემზადება და ამას არცთუ მოკრძალებულად აკეთებს: ახალი ავტომობილია – Alfa Romeo 4C, 1,7-ლიტრიანი ოთხცილინდრიანი, 240 ცხენისძალიანი ძრავით. ამ სპორტული ავტომობილისათვის ეს საკმარისზე მეტიც კია, რადგან იგი მხოლოდ 2,200 ფუნტს იწონის. მისი ღირებულება ჯერ არ არის გამოცხადებული, გამოშვების თარიღი კი საზოგადოებისთვის მალე გახდება ცნობილი.


















## **BMW** 4-Series Coupe – **from $40,500**

**THE NEW** BMW- BMW 4-Series Coupe, is much longer and wider than the previous model – 3-Series Sedan. The secret for the 428i power is the 2.0 liter 4 cylinder 240 horsepower engine, and for 435i it's the 3.0 liter 335 horsepower engine. The 428i is valued at the starting price of $40,500 while the 435i starts at $46,000.

**BMW**-ს ახალი ავტომობილი – BMW 4-Series Coupe, ამ მარკის წინამორბედთან, 3-Series Sedan-თან, შედარებით უფრო გრძელი და განიერია. 428i-ის სიმძლავრის საიდუმლო 2,0-ლიტრიანი 240 ცხენისძალის მქონე 4-ცილინდრიანი ძრავაა, ხოლო 435i-ის შემთხვევაში – 3,0-ლიტრიანი, 335 ცხენისძალიანი ძრავა. 428i-ის ფასი $40,500-დან იწყება, ხოლო 435i-ის – $46,000-დან.





# **ACURA** RLX – from $48,450




**AFTER** a one-year pause the automobile brand Acura presented a new model Acura RLX to the market. The latter has an improved engine and weighs 275 pounds less than its predecessor – due to significant amounts of aluminum used for the front part of the car. There are two sensor screens and leather seats in the salon. Acura RLX is equipped with a 3.5 liter, 310 horsepower V6 engine and its starting price is – $48.450.

**ერთწლიანი** პაუზის შემდეგ, საავტომობილო ბრენდმა, Acura-მ, ავტობაზარზე ახალი მოდელი, Acura RLX წარმოადგინა. ამ უკანასკნელის ძრავი, წინამორბედებთან შედარებით, გაძლიერებულია და, ამავდროულად, მისი წონა 275 ფუნტით არის შემცირებული, რაც ავტომობილის წინა ნაწილში ალუმინის საგრძნობი რაოდენობით გამოყენების შედეგად მოხდა. ავტომობილის სალონში განთავსებულია ორი სენსორული ეკრანი და ტყავგადაკრული სავარძლები. ავტომობილს აქვს 3,5-ლიტრიანი, 310 ცხენისძალის მქონე V6 ძრავა. მისი საწყისი ფასია – $48.450.














## MERCEDES-BENZ CLA – from $29,990

**DESPITE** the clear resemblance to its predecessor, the CLS, the new Mercedes-Benz CLA is wider and longer than the current C class. The salon is equipped with the sensor central controller and Bluetooth systems. This is a front-wheel drive automobile, but it can be turned into a four-wheel if necessary. The initial price is 29.990 USD and it is already available for purchase on the market.

**მიუხედავად** იმისა, რომ წინამორბედ მოდელთან, CLS-თან, მსგავსება აშკარად თვალშისაცემია, Mercedes-Benz CLA ამჟამინდელ C კლასთან შედარებით განიერი და გრძელია. სალონში აქამდე ნაცნობ სენსორულ ცენტრალური კონტროლის სისტემასა და ბლუთუზს გადააწყდებით. ავტომობილის გამწევი ძალა წინა საბურავებზე მოდის, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, მისი გავრცობა ავტომობილის ოთხივე საბურავზეა შესაძლებელი. საწყისი ფასი $29,990-დან იწყება, მისი შეძენა ავტობაზარზე უკვე შესაძლებელია.





**Flit Advertising | Flit Media | Flit Production**

სარეკლამო-საკომუნიკაციო ჯგუფი




Flit Group

გრაფიკული და საკომუნიკაციო დიზაინი | ოფსეტური, ციფრული და ფართოფორმატიანი ბეჭდვა | სარეკლამო კონსტრუქციების წარმოება და მონტაჟი

რეკლამა პრესაში | ღონისძიებების ორგანიზება

flit.ge

საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაციის წევრი


mazda
zoom-zoom
zoom-zoom
MAZDA
MAZDA6
SKYACTIV
ORIGINAL
MADE IN JAPAN
MAZDA CENTER TBILISI